F-171
1957

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

ბრძანებათა და ინსტრუქციათა

კრებული

СБОРНИК

ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

Министерства просвещения Грузинской ССР

4

აპრილი

საჯარო ბიბლიოთეკა
თბილისი

ОБЯЗАТЕЛЬНЫЙ ЭКЗЕМПЛЯР

პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის გამომცემლობა
19 თბილისი 57

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი მ. ბურჭულაძე
ტექრედაქტორი პ. გუნიავა

ხელმოწერილია დასაბეჭდად 11/V-57 წ., ანაწყობის ზომა 6×9,5 ქალალდის ზომა 60×84, სასტამბო ფორმათა რაოდენობა 3,5 სააღრიცხვო—2,5
საავტორო—2,5

შეკვეთა № 809 ტირაჟი 5000

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს გამომცემლობისა და პოლიგრაფიული მრეწველობის მთავარი სამმართველოს სტამბა № 2. თბილისი, ფურცელაძის ქ. № 5.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 224

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1957 წლის 7 მარტს

ქ. ქუთაისის სკოლებში მოსწავლეთა დისციპლინის მდგომარეობის შესახებ

F 2037

გავეცანი ქ. ქუთაისის განათლების განყოფილების გამგის ამხ. ი. ბალანჩივაძის მოხსენებას, აგრეთვე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრიგადის მონაკვლევ მასალას ქ. ქუთაისის სკოლებში მოსწავლეთა დისციპლინის მდგომარეობის შესახებ და აღვნიშნავ, რომ მოსწავლეთა დისციპლინა ქალაქის სკოლებში არ დგას მოწოდების სიმაღლეზე. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა იყო გასულ სასწავლო წელს. ბევრი მოსწავლე უხეშად არღვევდა სასკოლო რეჟიმს, იგვიანებდა მეცადინეობაზე, უნებართვოდ ტოვებდა გაკვეთილებს. ხშირი იყო უფროსებისადმი უპატივცემლობის, საზოგადოებრივ ადგილებში წესრიგის უხეშად დარღვევისა და საბჭოთა ახალგაზრდისათვის შეუფერებელი ქცევის გამოვლინებანი. გასულ სასწავლო წელს ქალაქის სკოლებიდან გარიცხულია 40-ზე მეტი მოსწავლე, ამათგან 9 პატიმრობაში ყოფნის გამო.

ქ. ქუთაისის სკოლების მუშაკებმა და განათლების განყოფილებამ სათანადო ანალიზი გაუკეთეს მოსწავლეთა დისციპლინის მძიმე მდგომარეობას და მიმდინარე სასწავლო წლისათვის ამ მხრივ მთელი რიგი ღონისძიებანი განახორციელეს. ჩატარდა სკოლის მუშაკთა და მშობელთა საქალაქო აქტივის კრება, სადაც მშობლებს გაეცნო მოსწავლე ახალგაზრდობის ერთი ნაწილის მიერ გასულ სასწავლო წელს საზოგადოებრივი წესრიგის უხეშად დარღვევის ფაქტები და მათი გამომწვევი მიზეზები. ამ ღონისძიებების გატარებამ საგრძნობლად შეუწყო ხელი მშობელთა პასუხისმგებლობის ამაღლებას,

წარმოება-დაწესებულებათა პარტიული და სამეურნეო ხელ-
მძღვანელობის უმრავლესობამ, პარტიის საქალაქო კომიტეტის გა-
დაწყვეტილებით, საფუძვლიანად შეისწავლა მუშა-მოსამსახურეთა
შვილების აკადემიური წარმატებისა და ყოფაქცევის მდგომარეობა,
საკითხი განიხილა საერთო კრებაზე სკოლის მუშაკების თანდასწრე-
ბით და დასახა საჭირო ღონისძიებანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლებში პოლიტექნიკური სწავლების საფუძვლების განმტკი-
ცებამ და პრაქტიკული საქმიანობისათვის აუცილებელი ცოდნა-
ჩვევებით მოსწავლეთა შეიარაღებამ ხელი შეუწყო შეგნებული
დისციპლინის განმტკიცებას. ყოველწლიურად იზრდება იმ ახალ-
გაზრდების რაოდენობა, რომლებიც საშუალო სკოლის დამთავრე-
ბისთანავე ებმებიან პრაქტიკულ საქმიანობაში. 1-ლი, მე-2, მე-4,
მე-7, მე-8, 21-ე საშუალო სკოლების კურსდამთავრებულები წარმა-
ტებით ეუფლებიან სხვადასხვა პროფესიასა და ნაყოფიერ შრომას
ეწევიან. 1952/53 სასწავლო წელს კურსდამთავრებულებიდან სა-
წარმოო შრომაში ჩაება 39 ახალგაზრდა, 1953/54 სასწავლო
წელს — 93, 1954/55 სასწავლო წელს — 167, 1955/56 სასწავლო
წელს — 271.

კარგად მიმდინარეობს მე-14 საშუალო სკოლის VIII კლასის
მოსწავლეთა საწარმოო სწავლება ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახე-
ლობის საავტომობილო ქარხანაში. მოსწავლეები ბეჯითად ეუფლე-
ბიან სხვადასხვა პროფესიას. ამან მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი
მოსწავლეთა შორის დისციპლინის განმტკიცებას. ბევრ სკოლაში
დანერგილია დამსახურებულ მასწავლებლებთან, მწერლებთან, წარ-
მოების ნოვატორებთან, სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანებ-
თან შეხვედრის ტრადიცია. ეს ღონისძიებაც გარკვეულად უწყობს
ხელს შეგნებული დისციპლინის განმტკიცებას მოსწავლეთა შორის
(1-ლი, მე-2, 3, 5, 12, 19, 21-ე საშუალო სკოლები).

დიდი ყურადღება ექცევა მოსწავლეთა ინტერნაციონალური სუ-
ლისკვეთებით აღზრდის საქმეს. ქალაქის სკოლების მოსწავლეებს
მეგობრული ურთიერთობა აქვთ მოძმე რესპუბლიკებისა და დემოკ-
რატიული ქვეყნების ახალგაზრდობასთან (ვ. მაიაკოვსკის სახელო-
ბის პირველ სკოლას — რიგის 1-ლ სკოლასთან, მე-18 და 21-ე სა-
შუალო სკოლებს — მოსკოვის მე-18 და 21-ე სკოლებთან, მე-3
საშუალო სკოლას კიევის 131-ე საშუალო სკოლასთან, მე-4 საშუა-

ლო სკოლას — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქ. დრეზ-დენის საშუალო სკოლასთან და სხვ.).

ჯეროვანი ყურადღება ექცევა მშობელთა პედაგოგიზაციას. მშობელთა დიდი ნაწილი ჩაბმულია მშობელთა უნივერსიტეტში. მასწავლებლებმა გააძლიერეს ერთიანი მომთხოვნელობა. მოსწავლეები ფართოდ არიან ჩაბმული კლასგარეშე და სკოლის გარეშე მუშაობაში, საალმზრდელო მიზნისათვის ფართოდაა გამოყენებული სასკოლო კედლის გაზეთები, რის შედეგად საგრძნობლად შემცირდა მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების უმიზეზოდ გაცდენა და გაუმჯობესდა სწავლების ხარისხი. გასული სასწავლო წლის პირველ ნახევარში არასაპატიო მიზეზით გაცდენილი იყო 30196 გაკვეთილი, მიმდინარე სასწავლო წელს ამ პერიოდისათვის გაცდენილია 12368 გაკვეთილი.

მოსწავლეთა შორის შეგნებული დისციპლინის განმტკიცების საქმეში კარგი წარმატებები აქვთ მოპოვებული მაიაკოვსკის სახელობის 1-ლ, მე-19, 21-ე, 25-ე, 26-ე და სხვა საშუალო სკოლებს.

ახლანდელი მდგომარეობის ანალიზი გვარწმუნებს, რომ გატარებული ღონისძიებანი სრულიად არ არის საკმარისი. შეგნებული დისციპლინის დანერგვის საქმეში ჯერ კიდევ ადგილი აქვს არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებს. არ არის აღმოფხვრილი მოსწავლეების მიერ არასაპატიო მიზეზით გაკვეთილების გაცდენის, დაგვიანებისა და გაკვეთილებიდან გაპარვის შემთხვევები (მე-15 და მე-16 საშუალო სკოლები).

22-ე და 24-ე საშუალო სკოლებში ადგილი აქვს გაკვეთილებზე მოსწავლეთა გამოუცხადებლობის აღურიცხველობისა და არასაპატიო მიზეზით გაცდენილი გაკვეთილების ხელოვნურად შემცირების ფაქტებს.

ზოგიერთი სკოლის კლასის ხელმძღვანელები არ ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას, ყურადღების გარეშე ტოვებენ მოსწავლეთა მიერ არასაპატიო მიზეზით გაკვეთილების გაცდენისა და დაგვიანების შემთხვევებს, ვერ აბამენ მოსწავლეებს კლასგარეშე მუშაობაში (მე-10 საშუალო სკოლის IX — X — XI კლასების ხელმძღვანელები დ. ჩირაძე, ნ. ხუროძე და ნ. ტურძელაძე, მე-15 საშუალო სკოლის VIII — IX — X კლასების ხელმძღვანელები ს. სიმსივაძე, ს. კვერნაძე, დ. ბოგვერაძე, ნ. მომცემლიძე, მე-4

საშუალო სკოლის VIII — IX — X კლასების ხელმძღვანელები — ი. აბესაძე, ა. ფანჩულიძე და ს. ბახტაძე).

ზოგიერთ სკოლაში არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული მოსწავლეთა მორიგეობა, რის შედეგად ადგილი აქვს სკოლის შენობისა და ინვენტარის დაზიანების, აგრეთვე დერეფნების, საკლასო ოთახების დანაგვიანების შემთხვევებს. უფროსი კლასების მოსწავლეთა ერთი ნაწილი ეწევა პაპიროსს, არ ატარებს ფორმის ტანსაცმელს, სახელმძღვანელოებს, პირადობის მოწმობასა და დღიურებს (მე-10, მე-11, მე-15, 22-ე და 24-ე სკოლები).

ჯერ კიდევ აქვს ადგილი მოსწავლეთა მიერ გაკვეთილებზე წესრიგის დარღვევისა და მასწავლებლებთან შეკამათების ფაქტებს. გვხვდება მოსწავლეთა ნაადრევად დაქორწინების შემთხვევები (მე-12, მე-18, 24-ე საშუალო სკოლები).

სათანადო პედაგოგიური ტაქტის უქონლობისა და გაკვეთილების მოუმზადებლად ჩატარების გამო მასწავლებლები ნ. ფიჩხაძე, ნ. თორაძე, ნ. ტყეშელაშვილი (მე-4 საშ. სკოლა), ე. ღვინეფაძე, ს.ციციაშვილი, თ. კაპანაძე, ი. ცოკოლია (22-ე საშ. სკოლა), ს. ივანეიშვილი (მე-16 საშ. სკოლა); გ. ჩახუნაშვილი (24-ე საშ. სკოლა) გაკვეთილზე ვერ ამყარებენ წესრიგს.

ზოგიერთ სკოლაში სუსტად მუშაობენ პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციები მოსწავლეთა შორის შეგნებული დისციპლინის დანერგვისათვის. უფროს პიონერხელმძღვანელთა ერთი ნაწილი მიმართავს შიშველ ადმინისტრირებას (მე-10 საშუალო სკოლა, უფროსი პიონერხელმძღვანელი ფოფხაძე). ზოგიერთ სკოლაში ჯერ კიდევ სუსტია სკოლისა და ოჯახის კავშირი.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ქ. ქუთაისის განათლების განყოფილებამ (ამხ. ი. ბალანჩივაძე):

ა) სკოლების კომპლექსური შემოწმებისას სათანადო ყურადღება დაუთმოს მოსწავლეთა დისციპლინის მდგომარეობის შესწავლას;

ბ) სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე მოისმინოს სკოლების დირექტორების მოხსენებანი დისციპლინის მდგომარეობის შესახებ, საკითხის წინასწარ შესწავლით და საჭირო ღონისძიებების დასახვით;

ბ) დადგენილი წესების დაცვით წარმოადგინოს პროექტი პედაგოგიურ სამუშაოდან ბრძანებაში აღნიშნულ იმ მასწავლებელთა

განთავისუფლების შესახებ, რომლებიც სათანადოდ ვერ ფლობენ საგანს, არა აქვთ პედაგოგისათვის საჭირო ტაქტი და უნარი, ვერ უზრუნველყოფენ შეგნებული დისციპლინის განმტკიცებას მოსწავლეთა შორის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. სკოლების დირექტორებმა:

ა) უზრუნველჰყონ სკოლებში დისციპლინის განმტკიცების შესახებ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განუხრელად გატარება;

ბ) დააწესონ მტკიცე კონტროლი კლასის ხელმძღვანელების მუშაობაზე, რათა აღკვეთილ იქნას მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების უმიზეზოდ გაცდენა, დაგვიანება, გაკვეთილებიდან გაპარვა;

გ) ჩაატარონ ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა მშობელთა შორის, მათი საქმიანი და ქმედითი დახმარებით მიაღწიონ მოსწავლეთა შორის შეგნებული დისციპლინის დანერგვას.

დ) დააწესონ მეთვალყურეობა მოსწავლეთა ქცევაზე საზოგადოებრივ ადგილებში, სანახაობათა დაწესებულებებში, ქუჩაში. დისციპლინის დარღვევის არც ერთი ფაქტი არ დატოვონ ყურადღების გარეშე და სათანადო ღონისძიების გატარებით მიაღწიონ მის აღმოფხვრას;

ე) ქმედითი დახმარება გაუწიონ პიონერულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს წარჩინებული სწავლისა და სანიმუშო ყოფაქცევის დანერგვის საქმეში მათი ავანგარდული როლის უზრუნველსაყოფად;

3) პარტიული და საბჭოთა ორგანოების წინაშე დააყენონ საკითხი იმ მშობელთა შესახებ, რომლებიც თავიანთი შვილების აღზრდისადმი უპასუხისმგებლობას იჩენენ.

3. მიღებულ იქნას ცნობად, რომ კლასის ხელმძღვანელების დ. ჩირაძის, ნ. ხუროძის, ნ. ტურძელაძის (მე10 საშუალო სკოლა), ს. სიმსივაძის, ს. კვერნაძის, დ. ბოგვერაძის (მე-15 საშუალო სკოლა) და ო. აბესაძის (მე-4 საშუალო სკოლა) მიმართ ქალაქის განათლების განყოფილების მიერ გატარებულია სათანადო ღონისძიება.

4. სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისადმი საჭირო კონტროლის განუხორციელებლობისათვის მიეთითოს 22-ე საშუალო სკოლის დირექტორს ნ. ერისთავს, 24-ე საშ. სკოლის დირექტორს მ. რიჟინაშვილს, მე-18 საშ. სკოლის დირექტორს ვ. ხოტივარს.

5. ქ. ქუთაისის განათლების განყოფილების გამგემ ამხ. ი. ბალანჩივაძემ აღნიშნული ბრძანება განიხილოს ქალაქის სკოლების დირექტორების თათბირზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1957 წლის 1 მარტის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების

მ ი ნ ი ს ტ რ ი **გ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 227

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1957 წლის 7 მარტს

ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

გავეცანი რა ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების მუშაობის შემოწმების შედეგებს, აღვნიშნავ, რომ განათლების განყოფილებამ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად მნიშვნელოვნად გააუმჯობესა თავისი საქმიანობა სწავლა-აღზრდის დაწესებულებათა მუშაობისადმი ხელმძღვანელობისა და კონტროლის საქმეში.

განყოფილება მოფიქრებულად გეგმავს თავის მუშაობას. კვარტალური გეგმები თანმიმდევრულად ითვალისწინებს სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენებისათვის აუცილებელ საკითხებს.

1955/56 სასწავლო წლის მანძილზე შემოწმებულია ქალაქის ოცდაშვიდივე ზოგადსაგანმანათლებლო და ოთხივე მუშა-ახალგაზრდობის სკოლის მუშაობა. დასახული ღონისძიებების შესრულების შემოწმება ჩატარებულია 10 სკოლაში. შესწავლილია რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობა 4, სოფლის მეურნეობის პრაქტიკუმის 5, ხელგარჯილობის 6 სკოლაში. შესწავლილია აგრეთვე მოსწავლეთა შეგნებული დისციპლინის მდგომარეობა 5 და პიონერ-კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის მდგომარეობა 4 სკოლაში.

მიმდინარე სასწავლო წლის პირველი ნახევრის მანძილზე სას-

წავლო-აღმზრდელობითი მუშაობა შემოწმებულია 10 საშუალო, 1 შვიდწლიან და 2 მუშა ახალგაზრდობის სკოლაში. დანარჩენ 16 სკოლაში შესწავლილია საყოველთაო სწავლების განხორციელებისა და პოლიტექნიკური სწავლების, ხოლო 3 სკოლაში პიონერთა შორის მუშაობის მდგომარეობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განათლების განყოფილება საფუძვლიანად ამოწმებს სკოლების მუშაობას, კარგად იყენებს ცალკეული სკოლების მოწინავე მუშაკებს, შემოწმების შედეგებს იხილავს პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე, აფორმებს სათანადო ბრძანებით და უგზავნის სკოლებს. საჭირო შემთხვევაში შემოწმების შედეგებს იხილავენ სახალხო განათლების საბჭო, ქალაქის ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგანოები.

1956 წლის განმავლობაში სკოლის დირექტორების თათბირი ჩატარებულია 16-ჯერ. თათბირებზე განხილულია ხელმძღვანელი ორგანოებიდან მიღებული დირექტივები, აგრეთვე საყოველთაო სწავლების განხორციელების, პოლიტექნიკური სწავლებისათვის სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცების, დისციპლინის მდგომარეობისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

განათლების განყოფილების მიერ გატარებულ ღონისძიებათა შედეგად ქალაქის 26 სკოლაში მოწყობილია სასწავლო სახელოსნოები. აქედან, საზეინკლო სახელოსნო მოწყობილია 7, სადურგლო — 7 და კომბინირებული — 19 სკოლაში. ფართოდ არის დანერგილი შეფორგანიზაციების დახმარება სკოლებზე. ს. ორჯონიკიძის სახელობის ქუთაისის საავტომობილო ქარხანამ (დირექტორი შ. კიკნაძე) 1-ლ საშუალო სკოლას გადასცა უნივერსალური ხრახნმჭრელი, სახარატო და საბურღი ჩარხები და სხვადასხვა სახის ხელსაწყო-იარაღები. მაუდის ფაბრიკამ (დირექტორი ა. იმედაძე) მე-2 საშუალო სკოლას გადასცა 4 ჩარხი, 4 ელექტრომოტორი, საზეინკლო-სადურგლო დაზგები და სხვადასხვა სამუშაო იარაღები; სკოლას სახელოსნოში გაუყვანა სამფაზა დენი და დაუმონტაჟა მანქანები. ასევე დიდი დახმარება გაუწიეს სკოლებს საკონსერვო ქარხანამ (დირექტორი ა. მაჭარაძე), აბრეშუმის კომბინატმა (დირექტორი ა. იოსელიანი), ქარხანა „მაღაროელმა“ (დირექტორი ა. კეშელავა), სამთო ტექნიკუმმა (დირექტორი ი. მატარაძე) და სხვ. სულ შეფორგანიზაციებმა სკოლებს მოუწყვეს 21 სახელოსნო, ზოგიერთ სკოლებს კი კაბინეტებიც. უსასყიდლოდ გადაეცა სკოლებს 30 ჩარ-

ხი, 44 სადურგლო და საზეინკლო დაზგა, 192 გირაგი, 7 ავტომანქანა, 22 ელექტროძრავი და 126111 მანეთის ხელსაწყო-იარაღები.

სკოლებმა სპეციალური სახსრებით შეიძინეს 8 ჩარხი, 60-მდე სადურგლო და საზეინკლო დაზგები, 67460 მანეთის ხელსაწყო-იარაღები. სკოლებში მოწყობილია ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის კაბინეტები. ფიზიკის კაბინეტისათვის ცალკე ოთახებია გამოყოფილი 21 საშუალო სკოლაში, ქიმია-ბიოლოგიისათვის — 17 საშუალო სკოლაში. სკოლები ძირითადად უზრუნველყოფილია კაბინეტებისათვის საჭირო მოწყობილობით, ამასთან ყოველწლიურად ხდება მათი შევსება.

ყველა სკოლას აქვს სასწავლო-საცდელი ნაკვეთი. ზოგი სკოლის ნაკვეთი 200—250 კვ. მეტრს არ აღემატება, მაგრამ ეს სკოლები მცირე ნაკვეთებსაც გონივრულად იყენებენ სწავლების პროცესში. პოლიტექნიკური სწავლების მოწინავე გამოცდილების განზოგადების მიზნით ჩატარდა დირექტორებისა და მასწავლებელთა ტექნიკური კონფერენცია, რომელმაც მოისმინა მოწინავე სკოლების დირექტორების და მასწავლებლების მოხსენებები ახალი საგნების სწავლების მდგომარეობის შესახებ. პირველ საშუალო სკოლაში მოეწყო მოსწავლეთა მიერ სახელოსნოებში დამზადებული ხელსაწყო-იარაღების საქალაქო გამოფენა, რომელიც დაათვალიერეს ქალაქის ყველა სკოლის მოსწავლეებმა, მასწავლებლებმა და ფართო საზოგადოებრიობამ.

გარკვეული ღონისძიებებია გატარებული მოსწავლეთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის გასაუმჯობესებლად. მშობელთა დიდი ნაწილი ჩაბმულია ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტთან არსებულ მშობელთა უნივერსიტეტში. მშობელთა აქტივის საქალაქო შეკრებაზე წაკითხულია მოხსენებები ბავშვთა აღზრდის საკითხებზე. მოსწავლე ახალგაზრდობისადმი ზედამხედველობისა და მზრუნველობის გაძლიერების მიზნით წარმოება-დაწესებულებების, საბჭოთა და პარტიული ორგანოების მიერ განხილულია იმ მშობლების საკითხი, რომელნიც სათანადო ყურადღებას არ აქცევენ თავიანთი შვილების აღზრდას და არ ეხმარებიან სკოლებს შეგნებული დისციპლინის განმტკიცების საქმეში. მოსწავლეთა ინტერნაციონალური აღზრდის გაუმჯობესების მიზნით მტკიცე კავშირია დამყარებული ქ. ქუთაისის ქართულ და რუსულ სკოლებს შორის, ეწყობა მეგობრული საღამოები ამ სკოლების მოსწავლეთა ურთიერთ დასწრებით. მეგობ-

რული ურთიერთობაა დამყარებული აგრეთვე მოძმე რესპუბლიკების სკოლებთან. მოსწავლეები უგზავნიან წერილებს, ალბომებსა და სურათებს, აწყობენ შეხვედრებს მეგობრული გრძნობის განმტკიცებისა და მოწინავე გამოცდილების გაზიარების მიზნით. ამ საქმეში თანამონაწილეობას იჩენენ სკოლების პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განათლების განყოფილების მიერ სათანადო მუშაობაა ჩატარებული ქალაქის სკოლების დამწყებ მასწავლებლებთან, მათთვის ეწყობა მეთოდური თათბირები, ინდივიდუალური კონსულტაციები. ამ საკითხს მიეძღვნა სკოლების დირექტორების სპეციალური თათბირი.

განათლების განყოფილება ეფექტიანად იყენებს სკოლის მუშაკთა დასჯა-წახალისების ღონისძიებებს.

დამაკმაყოფილებლად მუშაობს განათლების განყოფილებასთან არსებული სახალხო განათლების საბჭო. 1956 წლის განმავლობაში საბჭოს სხდომა ჩატარებულია 7-ჯერ და განხილულია 17 საკითხი. მათ შორის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის, რუსული ენის სწავლების, მოსწავლეთა დისციპლინის, საყოველთაო სწავლების განხორციელების, ტექნიკური სადგურის, პიონერთა სასახლის, ბიბლიოთეკების მუშაობის მდგომარეობისა და სხვა საკითხები.

ამასთან ერთად განათლების განყოფილების მუშაობაში ადგილი აქვს გარკვეულ ნაკლოვანებებს. განყოფილების მიერ ყოველთვის არ ექცევა სათანადო ყურადღება კვარტალური გეგმების შესრულების საქმეს. 1956 წლის ოთხივე კვარტალის გეგმებით გათვალისწინებული 90 საკითხიდან შეუსრულებელია 6 საკითხი. გეგმით გათვალისწინებული ზოგიერთი სამუშაო მხოლოდ ნაწილობრივ არის შესრულებული. გეგმების შესრულების შესახებ განათლების განყოფილების მიერ არ იწერება მოკლე ანგარიში.

სახალხო განათლების საბჭოს სხდომაზე არაა განხილული ისეთი აქტუალური საკითხები, როგორიცაა პოლიტექნიკური სწავლებისათვის სკოლების მატერიალური ბაზით უზრუნველყოფა, მოსწავლეთა კვების ორგანიზაცია, სკოლებში სანიტარულ-ჰიგიენური პირობები, მშობელთა შორის მუშაობის მდგომარეობა და სხვ. არაა აგრეთვე დანერგილი ცალკეული სკოლების დირექტორების ანგარიშისა და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ძირითად საკითხებზე მოხსენებების მოსმენის პრაქტიკა.

არ არის შესრულებული მოსწავლეთა კონტინგენტის სახალხო-სამეურნეო გეგმა. 1956 წლის 5 სექტემბრის მდგომარეობით ქ. თბილისის სკოლებში უნდა ყოფილიყო 16040 მოსწავლე, ფაქტიურად კი იყო 15715, ე.ი. 325 მოსწავლით ნაკლები. მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმა შეუსრულებელია ძირითადად უფროს კლასებში. მაგალითად, XI კლასში 1355 მოსწავლის ნაცვლად სწავლობს 1146, X-ში —1484-ის ნაცვლად—1280, IX-ში—1553-ის ნაცვლად—1483 მოსწავლე.

რიგმა სკოლებმა დაბალი მაჩვენებლებით დაამთავრეს სასწავლო წლის პირველი ნახევარი. ზოგადსაგამანათლებლო სკოლების 14746 შეფასებული მოსწავლიდან II მეოთხედში ასწრებდა 11731 (79,1 %), ხოლო მუშა-ახალგაზრდობის სკოლების 1321 შეფასებული მოსწავლიდან—976 (74,0 %) ქალაქის სკოლების 742 მეორეწლიანი მოსწავლიდან მეორე მეოთხედში ასწრებდა მხოლოდ 440. ამავე მეოთხედში 3395 კომკავშირელიდან ასწრებდა 2815 (83%) და 5378 პიონერიდან — 4255 (75%). კიდევ უფრო დაბალი მაჩვენებლებით დაამთავრეს სასწავლო წლის I-ნახევარი ცალკეულმა სკოლებმა. მე-20 საშუალო სკოლის (დირექტორი ნ. რობაქიძე) 457 მოსწავლიდან ასწრებდა 307 (67%), ამ სკოლის 22 მეორეწლიანიდან ასწრებდა 12, მე-11 საშუალო სკოლის (დირექტორი რ. არველაძე) 632 მოსწავლიდან ასწრებდა 435 (69%), ხოლო 45 მეორეწლიანიდან ასწრებდა 16 და ა. შ.

სერიოზული ნაკლოვანებებია მოსწავლეთა შორის შეგნებული დისციპლინის განმტკიცების საქმეში.

ზემოაღნიშნული მდგომარეობა იმითაცაა გამოწვეული, რომ მასწავლებლების ერთი ნაწილი ძლიერ მცირე დატვირთვაზე მუშაობს და სათანადო მონაწილეობას არ ღებულობს სკოლის სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში. მაგალითად, ა. წულუკიძის სახელობის მუზეუმის დირექტორს რ. ბექაიას ისტორიის 3 გაკვეთილი აქვს მუშა-ახალგაზრდობის მე-2 საშუალო სკოლის VIII-XI კლასებში, ხოლო ო. აბუთიძეს, რომელიც ძირითადად პედაგოგიურ ინსტიტუტში მუშაობს, საქართველოს ისტორიის 1 გაკვეთილი აქვს მე-2 საშუალო სკოლაში. მცირე დატვირთვაზე მუშაობს აგრეთვე მე-5 საშუალო სკოლის რამდენიმე მასწავლებელი.

ქალაქის სკოლებში ასწავლის ფიზიკა-მათემატიკის 11, რუსული

ენისა და ლიტერატურის—5, უცხო ენების—4 და ბიოლოგიის—3 ისეთი მასწავლებელი, რომელთაც არა აქვთ განათლების სათანადო ცენზი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაკლოვანებებია კადრების დანიშვნის საქმეში. ზოგიერთი მასწავლებელი განათლების სამინისტროს სათანადო ბრძანების გარეშეა დაშვებული სამუშაოზე. განათლების განყოფილების მიერ 1956 წლის 1 ოქტომბერს მე-17 საშუალო სკოლაში დროებით გაგზავნილი ა. კაპანაძე განაგრძობს მუშაობას ქიმიის 7 გაკვეთილზე, მაშინ, როდესაც ამ სკოლის ქიმიის ძირითად მასწავლებელს ვ. ქუთათელაძეს მხოლოდ 7 გაკვეთილი აქვს. 1956 წლის 2 ოქტომბრიდან 24-ე საშუალო სკოლაში შეთავსებით მუშაობს ფრანგული ენის მასწავლებელი თ. გოგიაშვილი ისე, რომ არ არსებობს განათლების სამინისტროს ბრძანება მასწავლებლად მისი დანიშვნის შესახებ.

განათლების განყოფილებაში ჯერ კიდევ მოუგვარებელია ზოგიერთი მასწავლებლის პირადი საქმე. მე-9 და მე-10 საშუალო სკოლების მასწავლებლების გ. ფალეევა-ქოიავას, ა. შიხაშვილისა და თ. თორაძის პირად საქმეებში ინახება ვადაგასული დროებითი ცნობები ტექნიკუმის დამთავრებისა და პედაგოგიური ინსტიტუტის კურსის მოსმენის შესახებ. მასწავლებელთა ერთ ნაწილს არა აქვს დანიშვნის შესახებ ბრძანების ასლები და ფოტოსურათები. მოუგვარებელია აგრეთვე მასწავლებელთა პირადი საქმეები სკოლებში. მე-17 საშუალო სკოლის 18 ძირითადი მასწავლებლიდან, პირადი საქმეები არ გააჩნია 11-ს, ხოლო ამ სკოლაში შეთავსებით მომუშავე 12 მასწავლებელს დღემდე არავითარი საბუთი არა აქვს წარმოდგენილი.

მოუწესრიგებელია განათლების მუშაკთა შორის წიგნაკების შევსებისა და განათლების განყოფილების მიერ ამ წიგნაკების სკოლებზე გადაცემის საქმე. მასწავლებელთა ერთ ნაწილს არა აქვს შრომის წიგნაკი.

ადგილი აქვს მასწავლებელთა ხელფასის ტარიფიკაციის დარღვევის შემთხვევებს. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ მასწავლებელს არ გააჩნია სათანადო ცენზი და პედაგოგიური მუშაობის სტაჟი, ხელფასი პირველი თანრიგით ეძლევა, ნაცვლად მეორე თანრიგისა. მაგალითად, თ. ბერაძე და ე. ძოწენიძე (1-ლი საშუალო სკოლა), რ. ჯოლმაევა (მე-10 საშუალო სკოლა), ი. ჟორჟოლაძე

(მე-13 საშუალო სკოლა), ვ. ბრეგვაძე (25-ე საშუალო სკოლა) და ო. რევიშვილი (26-ე შვიდწლიანი სკოლა).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ქუთაისის ქალაქის საბჭოს განათლების განყოფილებამ (ი. ბალანჩივაძე) სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის:

ა) უზრუნველყოს განათლების განყოფილების გეგმიანი მუშაობა და მომავალში არ დაუშვას გეგმით გათვალისწინებული საკითხების შეუსრულებლობა, ყოველი კვარტალის დასასრულს შეადგინოს მოკლე ანგარიში გეგმის შესრულების შესახებ და დაურთოს იგი კვარტალურ გეგმებს;

ბ) გააუმჯობესოს სახალხო განათლების საბჭოს მუშაობა. პერიოდულად განიხილოს საბჭოს სხდომაზე სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის აქტუალური საკითხები და მოისმინოს დირექტორების ანგარიში სკოლების მუშაობის შესახებ;

გ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმის შესრულებას და მომავალი სასწავლო წლიდან უზრუნველყოს სწავლებაში ჩაბმულ ბავშვთა და მოზარდთა შესაბამის კლასებში დაბრუნება;

დ) აამაღლოს სკოლების დირექტორების პასუხისმგებლობა მოსწავლეთა წარმატების, საყოველთაო სწავლების განხორციელების და მოსწავლეთა დისციპლინის შემდგომი გაუმჯობესების საქმეში;

ე) მომავალში არ დაუშვას გაკვეთილების დაქუცმაცება და მასწავლებლების დანიშვნა განათლების სამინისტროს ბრძანების გარეშე;

ვ) მიაღწიოს იმას, რომ საშუალო და შვიდწლიან სკოლებში ასწავლიდნენ მხოლოდ შესაფერისი ცენზის მქონე მასწავლებლები;

ზ) უახლოეს დროში მოაგვაროს განათლების მუშაკთა პირადი საქმეები, უზრუნველყოს თავის დროზე შრომის წიგნაკების შევსება და სკოლებზე გადაცემა;

თ) გულდასმით გადასინჯოს სკოლების მასწავლებელთა და სხვა მუშაკთა ტარიფიკაციის სისწორე და გადამჭრელი ზომები მიიღოს დაშვებული შეცდომების სალიკვიდაციოდ.

2. აღინიშნოს სკოლებში პოლიტექნიკური სწავლების მატერიალური ბაზის განმტკიცების საქმეში ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის დირექტორ ამხ. შ. კიკნაძის, მაუდის ქარ-

ხნის დირექტორ ამხ. ა. იმედაძის, საკონსერვო ქარხნის დირექტორ ამხ. ა. მაჭარაძის, აბრეშუმის კომბინატის ტირექტორ ამხ. ... სელიანის, ქარხანა „მაღაროელის“ დირექტორ ამხ. ა. კეკელაძის და სამთო ტექნიკუმის დირექტორ ამხ. ი. მატარაძის მისაბაძი თაოსნობა.

3. საკითხი ქ. ქუთაისის სკოლებში მოსწავლეთა დისციპლინის მდგომარეობის შესახებ სპეციალურად იქნას მოსმენილი კოლეგიის სხდომაზე.

საქართველოს სსრ განათლების

მ ი ნ ი ს ტ რ ი **გ. ჯიბლაძე**

ეამტკიცებ
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი გ. ჯიბლაძე
1957 წლის 18 მარტი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მ ი თ ი თ ე ბ ა ნ ი

1956—57 სასწავლო წელს სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში გამოსაშვები გამოცდების ჩატარების შესახებ

გამოსაშვები გამოცდები სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში ტარდება „დაწყებით, რვაწლიანსა და საშუალო სკოლებში გადასაყვანი, გამოსაშვები და სიმწიფის ატესტატზე ჩასაბარებელი გამოცდების შესახებ“ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ინსტრუქციის (1956 წლის გამოცემა) შესაბამისად, შემდეგი ცვლილებებით:

1. სოფლის ახალგაზრდობის სკოლების I — VI კლასებში მეცადინეობა წყდება 30 აპრილს, VII კლასში 12 აპრილს, VIII—IX კლასებში კი 30 აპრილს.

2. VII კლასში გამოცდები იწყება 16 აპრილს და მთავრდება 30 აპრილს.

F-2037

გამოცდები VII კლასში ტარდება შემდეგ საგნებში:

მშობლიურ ენაში—წერითი და ზეპირი, რუსულ ენაში (არარუსულ სკოლებში)—წერითი და ზეპირი, ალგებრაში—არითმეტიკით—წერითი, სულ 5 გამოცდა, მათგან 3 წერითი და 2 ზეპირი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ლიტერატურულ კითხვაში VII კლასში საბოლოო ნიშნად წლიური ნიშანი იწერება.

3. წერითი გამოცდები VII კლასში ტარდება:

ა) მშობლიურ ენაში—16 აპრილს;

ბ) ალგებრაში არითმეტიკით 20 აპრილს;

გ) რუსულ ენაში (არარუსულ სკოლებში)—25 აპრილს.

4. VII კლასში წერითი გამოცდებისათვის მოსწავლეებს შემდეგი სახის სამუშაო ეძლევათ: მშობლიურ ენაში მცირე მოცულობის ლიტერატურული ნაწარმოების ან ცალკე ეპიზოდის შინაარსის გადმოცემა; მოსწავლეებს ეძლევათ სამი თემა, [illegible] მათ უფლება აქვთ ერთ-ერთი აირჩიონ.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსულ ენაში (არარუსულ სკოლებში) — გავლილი მასალიდან პატარა მოთხრობის ან ნაწყვეტის შინაარსის გადმოცემა, მიხეილ ნასწარი წაკითხვით კლასში.

ალგებრაში არითმეტიკით ერთი ამოცანა ალგებრიდან და ერთი მაგალითი არითმეტიკიდან.

ამოცანები და მაგალითები ალგებრაში არითმეტიკით VII კლასის მოსწავლეებს ეძლევათ ორ ვარიანტად, თანაბარი სიძნელისა.

წერითი გამოცდებისათვის VII კლასების მოსწავლეებს ეძლევათ დრო არა უმეტეს სამი ასტრონომიული საათისა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: VII კლასის მოსწავლეებს უფლება ეძლევათ არითმეტიკაში უფრო მაღალი შეფასების მიღების მიზნით გამოცდების დაწყებამდე გადააბარონ იგი.

5. საგამოცდო თემებს, ამოცანებსა და მაგალითებს VII კლასისათვის ადგენს რაიონის განათლების განყოფილება, რომელიც ამ მასალებს ამრავლებს სოფლის ახალგაზრდობის სკოლებისათვის საჭირო რაოდენობით, საგნების მიხედვით, ათავსებს პაკეტში და ლუქავს, პაკეტზე აღნიშნავს გამოცდების ჩატარების თარიღს და აბარებს სოფლის ახალგაზრდობის სკოლების დირექტორებს გამოცდის წინა დღეს. პაკეტს ხსნის საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე კლასში საგამოცდო კომისიის წევრთა და მოსწავლეთა თანდასწრებით, უშუალოდ გამოცდების დაწყების წინ.

6. VII კლასის მოსწავლეები, რომლებსაც სასწავლო წლის პირველი და მეორე ნახევრის მანძილზე ყველა ძირითად საგანში აქვთ შეფასება არანაკლებ „5"-სა, გამონაკლისის სახით, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, შეიძლება განთავისუფლებულ იქნენ გამოსაშვები გამოცდებისაგან რაიონის განათლების განყოფილების მიერ.

სკოლის დამთავრების მოწმობა ამ შემთხვევაში უნდა გაიცეს წლიური შეფასების საფუძველზე.

უგამოცდოდ შვიდი კლასის დამთავრების მოწმობის გაცემის საკითხის განხილვა ხდება სკოლის მიერ წარმოდგენილი დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე, რასაც თანდართული უნდა ჰქონდეს სამკურნალო დაწესებულებების საექიმო კომისიის დასკვნა, პედაგოგიური საბჭოს დადგენილება და მოსწავლის დახასიათება, სასწავლო წლის პირველი და მეორე ნახევრის, და აგრეთვე წლიური ნიშნები VII კლასის სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ყველა საგანში, წერით და ზეპირ გამოცდებზე მოსწავლის მიერ მიღე-

ბული ყველა შეფასება (იმ შემთხვევაში, როდესაც მოსწავლე გამოცდების პერიოდში გახდა ავად).

შუამდგომლობა მოსწავლის გამოცდებისაგან განთავისუფლების შესახებ სათანადო მასალებით განათლების განყოფილებაში შეღებულ უნდა იქნეს არა უგვიანეს 12 აპრილისა, თუ იგი 12 აპრილიდან გამოცდების დაწყებამდე გახდება ავად—20 აპრილამდე, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც მოსწავლე გამოცდების პერიოდში გახდა ავად—30 აპრილამდე.

ამ ვადების შემდეგ წარმოდგენილი შუამდგომლობები განათლების განყოფილების მიერ განხილული არ იქნება და მასალების დაგვიანებით წარმოდგენისათვის პასუხისმგებლობა დაეკისრება სკოლის დირექტორს.

7. VII კლასის მოსწავლეთათვის, რომლებიც გამოცდების პერიოდში ავად გახდნენ და გამოცდების დამთავრებამდე გამოჯანმრთელდნენ, რაიონის განათლების განყოფილება ადგენს დამატებით თემებს სკოლებისათვის დასაგზავნად.

პაკეტი სათადარიგო თემებით VII კლასში უნდა გაიხსნას:

ა) მშობლიურ ენაში — 23 აპრილს,

ბ) ალგებრაში არითმეტიკით — 25 აპრილს,

გ) რუსულ ენაში (არარუსულ სკოლებში)—29 აპრილს.

8. VII კლასებში წერითი გამოცდები საღამოს 7 საათიდან იწყება.

9. ზეპირი გამოცდები წარმოებს ბილეთებით, რომლებსაც ადგენს სათანადო საგნის მასწავლებელი, ამ საგამოცდო ბილეთებს იხილავს პედაგოგიური საბჭო და გამოცდების დაწყებამდე 20 დღით ადრე ამტკიცებს სკოლის დირექტორი. ბილეთები უნდა იყოს თანაბარი სიძნელისა. თვითეული ბილეთი უნდა შედგებოდეს სასწავლო პროგრამიდან აღებული ორი-სამი ნათელი, მოსწავლეებისათვის გასაგები და გარკვევით დაწერილი საკითხებისაგან. თითოეულ საგანში დაახლოებით 20—30 ბილეთი დგება. ბილეთში მოცემული საკითხები მთლიანად უნდა ამოწურავდეს სასწავლო პროგრამას.

10. I, II და III კლასებში საგაზაფხულო დავალების შესრულების შემოწმება, ხოლო IV, V, VI, VII, VIII, IX კლასებში საშემოდგომო გამოცდები ტარდება 20 ოქტომბრიდან 25 ოქტომბრამდე (ჩათვლით).

II. საშემოდგომო წერითი გამოცდები VII კლასში ჩატარდება:

ა) მშობლიურ ენაში — 21 ოქტომბერს,

ბ) რუსულ ენაში (არარუსულ სკოლებში) — 24 ოქტომბერს,

გ) ალგებრაში არითმეტიკით — 28 ოქტომბერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშემოდგომო გამოცდები ტარდება საგაზაფხულო გამოცდებისათვის დადგენილი წესის ზუსტი დაცვით.

სკოლების სამმართველოს მუშა და სოფლის
ახალგაზრდობის სკოლების განყ-ბის უფროსი **რ. კანდელაკი**

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1957 წლის 27 თებერვლის № 101
დადგენილებით
ეროვნული
ბიბლიოთეკა

დებულება სკოლა-ინტერნატების შესახებ

I. სკოლა-ინტერნატის მიზანი და ამოცანები

1. სკოლა-ინტერნატი არის ახალი ტიპის ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულება, რომელიც მოწოდებულია უფრო მაღალ დონეზე გადაწყვიტოს ყოველმხრივ განვითარებული, კომუნიზმის განათლებული მშენებლების მომზადების ამოცანები.

2. სკოლა-ინტერნატში უნდა იყოს შექმნილი მეტად ხელსაყრელი პირობები მოსწავლეთა ყოველმხრივი ზოგადი და პოლიტექნიკური განათლებისათვის, მათში მაღალი მორალური თვისებების აღზრდისათვის, კარგი ფიზიკური და ესთეტიკური განვითარების და სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში აღსაზრდელთა პრაქტიკული საქმიანობისათვის მომზადების უზრუნველსაყოფად.

3. ამ ამოცანების წარმატებით გადასაწყვეტად სკოლა-ინტერნატი თავის სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში თანამიმდევრულად ახორციელებს ლენინურ მოთხოვნას — მოსწავლეთა სწავლების საწარმოო შრომასთან შეერთებისა და ცხოვრებასთან სკოლის კავშირის შესახებ.

II. სკოლა-ინტერნატის გახსნის წესი

4. სკოლა-ინტერნატს ხსნის და ხურავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სახალხო მეურნეობის გეგმის შესაბამისად, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს წარდგენით. სკოლა-ინტერნატი იხსნება იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაფერი შენობა სასწავლო მეცადინეობისათვის, საერთო საცხოვრებელი, სასადილო და სხვა საჭირო ნაგებობანი, თუ არიან კვალიფიციური მასწავლებლები და აღმზრდელები.

5. სკოლა-ინტერნატი იმყოფება საქართველოს სსრ განათლების

სამინისტროს, განათლების ადგილობრივი ორგანოების გამგებლობაში.

6. სკოლა-ინტერნატში არის I—X კლასები. მათში სწავლობენ და იზრდებიან 7-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვები და მოზარდები.

სკოლა-ინტერნატის გახსნისას მიიღებიან ბავშვები I-დან VIII კლასამდე ჩათვლით.

სკოლა-ინტერნატი შეიძლება გაიხსნას I-დან VII კლასამდე უფროსი (VIII—X) კლასების შემდგომში თანდათანობითი გახსნით.

7. სკოლა-ინტერნატი შეიძლება გაიხსნას 210, 300, 450 და 600 ბავშვზე.

სკოლა ინტერნატი იხსნება ბავშვების ჯანმრთელობისათვის ხელსაყრელ ადგილებში და მას აქვს სასწავლო კორპუსი, საცხოვრებელი კორპუსი, კვების ბლოკი, სპორტული ქალაქი, სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთი და დამხმარე მეურნეობა.

სკოლა-ინტერნატის სასწავლო კორპუსს აქვს: საკლასო ოთახები, სასწავლო კაბინეტები (ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, ხაზვის, მანქანათმცოდნეობისა და ელექტროტექნიკის, მეოჯახეობისა და სხვ.), სასწავლო-საწარმოო სახელოსნოები, სააქტო და ფიზკულტურული დარბაზები, ბიბლიოთეკა სამკითხველო დარბაზით, რადიოკვანძი, სამასწავლებლო, პედაგოგიური კაბინეტი, დირექტორის, სასწავლო ნაწილის გამგისა და ექიმის კაბინეტები, მოსწავლეთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ოთახი, პიონერთა ოთახი, სარეკრეაციო ფართობი.

სკოლა-ინტერნატის საცხოვრებელ კორპუსს აქვს საძინებელი ოთახები, ჯგუფების ოთახები (დასვენების ოთახები), სასტუმრო (აღსაზრდელების მშობლებთან შესახვედრად), უფროსი აღმზრდელის, აღმზრდელებისა და მორიგე ტექნიკური პერსონალის ოთახები, საკუჭნაო, თეთრეულის შესანახი ოთახი, პირსაბანი ოთახი, ჰიგიენის ოთახი, საბაზანო-საშხაპო სათავსო და სხვა.

სკოლა-ინტერნატის გახსნისას, როგორც წესი, გამოიყენება საშუალო სკოლების ტიპობრივი და სხვა შესაფერი შენობები, რომელთაც ახლავს შენობები აღსაზრდელთა საერთო საცხოვრებლისა, კვების ბლოკისა, ფიზკულტურის დარბაზისა, სახელოსნოებისა და სხვა დამხმარე სათავსოებისათვის, რომლებიც უზრუნველყოფენ ნორმალურ პირობებს ბავშვთა სწავლებისა და აღზრდისათვის; ავ-

რეთვე შეიძლება შეიქმნას შენობათა სპეციალური კომპლექსები სკოლა-ინტერნატებისათვის.

8. სკოლა-ინტერნატთან მის ტერიტორიაზე შეიძლება გაიხსნას საბავშვო ბაღი ან საბავშვო ბაღი და ბაგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

III. სკოლა-ინტერნატში მიღების წესი

9. ბავშვები სკოლა-ინტერნატში ჩაირიცხებიან მხოლოდ და მხოლოდ მშობლების ან მათი შემცვლელი პირების სურვილით საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დადგენილი მიღების წესების შესაბამისად.

10. სკოლა-ინტერნატში პირველ რიგში მიიღებიან მარტოხელა დედების, ომისა და შრომის ინვალიდების შვილები, ობლები და აგრეთვე ბავშვები, რომელთა ოჯახებში არაა მათი აღზრდისათვის აუცილებელი პირობები.

ბავშვების სკოლა-ინტერნატში შესანახად მშობლებს გადახდებათ გადასახადი მშობლების შემოსავლის მიხედვით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული სკალით.

სკოლა-ინტერნატში სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე მიიღებიან ბავშვები, რომლებსაც მშობლები არ გააჩნიათ, აგრეთვე, ცალკეულ შემთხვევებში მშრომელთა დაპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების შუამდგომლობით—ბავშვები, მრავალშვილიანი, ნაკლებად უზრუნველყოფილი ოჯახებიდან.

11. სკოლა-ინტერნატში მუდმივ მცხოვრებ მოსწავლეებთან ერთად შეიძლება სწავლობდნენ აგრეთვე ოჯახებში მცხოვრები ბავშვები.

12. მიღების შესახებ განცხადებების განსახილველად და სკოლა-ინტერნატში ბავშვთა ჩარიცხვის საკითხის გადასაწყვეტად ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, ავტონომიური ოლქის, რაიონების, ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მიერ იქმნება სპეციალური კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიან შესაბამისი განათლების ორგანოების წარმომადგენლები, ჯანმრთელობის დაცვის ორგანოს წარმომადგენელი, სკოლა-ინტერნატის დირექტორი და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებისა და ავტონომიური ოლქის აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით სკოლა-ინტერნატში ბავშვთა

მიმღები კომისიის შექმნის უფლება შეიძლება მიეცეს რაიონ-მასკომებს.

13. მშობლები, რომელთაც თავიანთი შვილები სკოლა-ინტერ-ნატში მოათავსეს, ვალდებულნი არიან დაეხმარონ პედაგოგიურ კოლექტივს მათ აღზრდაში და უზრუნველყონ ბავშვების სწორი აღზრდა ოჯახში მათი ყოფნის პერიოდში.

მშობლები ბავშვებს ნახულობენ სკოლა-ინტერნატის დირექტო-რის მიერ საამისოდ დადგენილ დღეებში.

სკოლა-ინტერნატის დირექტორის ნებართვითა და მშობლების ან მათი შემცვლელი პირების სურვილით მოსწავლეები შეიძლება გაშვებული იქნან სახლებში კვირა და უქმე დღეებში.

IV. სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაცია სკოლა-ინტერნატში

14. 7—18 წლამდე ასაკის ორივე სქესის ბავშვების აღზრდასა და სწავლებას სკოლა-ინტერნატი ახორციელებს საშუალო ზოგადსაგან-მანათლებლო პოლიტექნიკურ სკოლაში, რომელიც მოსწავლეებს აძ-ლევს კარგ ზოგად განათლებას უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გასაგრძელებლად და ამავე დროს უზრუნველყოფს სახალხო მეურ-ნეობის სხვადასხვა დარგში პრაქტიკული საქმიანობისათვის მათ მომზადებას.

15. სკოლაში სწავლება სწარმოებს საქართველოს სსრ განათლე-ბის სამინისტროს მიერ დამტკიცებული სასწავლო გეგმითა და პროგ-რამებით.

16. თვითეულ კლასში მოსწავლეთა რაოდენობა (ასევე ჯგუფებ-ში აღსაზრდელთა რაოდენობა) განისაზღვრება 30 კაცით.

შრომის, უცხო ენისა და საწარმოო სწავლებისათვის კლასი გაი-ყოფა ორ ქვეჯგუფად.

17. სკოლა-ინტერნატში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა ითვალისწინებს სწავლების საწარმოო შრომასთან შეერთების თანმიმდევრულ განხორციელებას, სკოლის კავშირს მუშათა და გლეხთა ცხოვრებასა და შრომასთან. მოსწავლეთა მრავალფეროვანი შრომითი საქმიანობის ორგანიზაციის საფუძვლებს თვითმომსახუ-რების ელემენტარული სახეებიდან და სამეურნეო-საყოფაცხოვრე-ბო შრომიდან დაწყებული და სასწავლო საწარმოო სახელოსნოებში, სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე, საწარმოებში, კოლმეურნეობებში,

საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებში საწარმოო შრომაში მონაწილეობით დამთავრებული. ამასთან მტკიცედ უნდა იყოს დაცული ბავშვთა ასაკობრივი თავისებურებანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

18. სკოლა-ინტერნატის მოსწავლეები იღებენ საწარმოო მოსწავლებას, რომელიც აუცილებელია მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ამა თუ იმ დარგში საწარმოო შრომაში მონაწილეობისათვის.

საწარმოო პრაქტიკის ჩასატარებლად ადგილობრივ ორგანიზაციებთან შეთანხმებით სკოლა-ინტერნატი მიემაგრება განსაზღვრულ წარმოებას, საბჭოთა მეურნეობას, მანქანა-ტრაქტორთა სადგურსა და კოლმეურნეობას.

19. სკოლა-ინტერნატის სასწავლო მუშაობაში გამოიყენება მუშაობის სხვადასხვაგვარი მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეთა მიერ ცოდნის შეგნებულსა და მტკიცე შეთვისებას ძირითადად გაკვეთილზე და აგრეთვე სხვადასხვაგვარ პრაქტიკულ მეცადინეობათა პროცესში, რომლებიც ხელს უწყობენ მათი გონებრივი ნიჭისა და აქტიური საქმიანობის განვითარებას, დამოუკიდებელ შრომითს ჩვევებს და მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის გამომუშავებას.

გარდა გაკვეთილისა, რომელიც სასწავლო მუშაობის ძირითად ფორმას წარმოადგენს, სკოლა-ინტერნატში ფართოდ გამოიყენება სასწავლო მუშაობის სხვა ფორმები—ექსკურსიები, პრაქტიკული სამუშაოები სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე და სახელოსნოებში, საწარმოო პრაქტიკა სამრეწველო საწარმოებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში და ა. შ.

20. სკოლა-ინტერნატში უზრუნველყოფილ უნდა იქნეს დღის რეჟიმის სწორი ორგანიზაცია, რაციონალური კვება, მოსწავლეებში ჰიგიენური ჩვევების დანერგვა, ყოველდღიური დილის ვარჯიშები (წყლის პროცედურებით), აღსაზრდელთა ორგანიზმის სისტემატური გაკაჟება, მეცადინეობისა და კლასგარეშე მუშაობის პროცესში ტანვარჯიშული ილეთებისა და სპორტის სხვადასხვა სახის სწავლება მოსწავლეთა ასაკის გათვალისწინებით, ჯომარდ თამაშობათა ჩატარება და შეჯიბრებების მოწყობა, გასეირნებები და ტურისტული ლაშქრობები, შრომითი საქმიანობა სუფთა ჰაერზე და ა. შ.

21. სკოლა-ინტერნატის მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდა ხორციელდება მთელი სასწავლო-აღზრდელობითი მუშაობის პროცესში, განსაკუთრებით მშობლიური ენისა და ლიტერატურის, სიმღერისა და ხატვის გაკვეთილებზე, და აგრეთვე მოსწავლეთა კლასგა-

რეშე კითხვით, ხელოვნების სხვადასხვა სახეობებში მრავალფერო-ვანი კლასგარეშე მუშაობით (მასობრივი და წრეობრივი), გუნდიდა და ორკესტრის (სიმებიანი და სასულე) ჩამოყალიბების გზით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

22. სკოლა-ინტერნატში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსწავლეთა ინდივიდუალური ნიჭისა და უნარის განვითარებას, როგორც სასწავლო მუშაობის, ისე სხვადასხვაგვარი კლასგარეშე მუშაობის პროცესში.

23. სკოლა-ინტერნატის დირექტორი ადგენს შინაგანაწესს აღსაზრდელთათვის და დღის რეჟიმს, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა სწავლის, შრომისა და დასვენების სწორ შეხამებას.

24. სკოლა-ინტერნატში გამოიყენება მოსწავლეთა წახალისებისა და აუცილებელ შემთხვევებში დასჯის ზომები, რომლებიც დადგენილია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის.

25. მეცადინეობა სკოლა-ინტერნატში იწყება და მთავრდება საყოველთაო სწავლების სკოლებისათვის დადგენილ ვადებში.

26. საზაფხულო არდადეგები წესდება I — IV კლასებისათვის 12 კვირის, ხოლო V — IX კლასებისათვის—8 კვირის ხანგრძლიობით. საზაფხულო არდადეგების დროს სკოლა-ინტერნატის ყველა აღსაზრდელისათვის 4 კვირის განმავლობაში ეწყობა დასვენება საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომასთან ერთად სპეციალურ ბანაკებში, რომლებიც იხსნება რაიონული, საქალაქო ორგანიზაციების დახმარებით, ან თვით სკოლაში, თუ იგი ქალაქგარეთაა მოთავსებული.

საზაფხულო არდადეგების დანარჩენ პერიოდში სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელებს ეძლევათ შვებულება.

იმ მოსწავლეთათვის, რომელთაც არა ჰყავთ მშობლები ან რომელთაც შვებულების დროს არ შეუძლიათ მშობლებთან წასვლა, სკოლა-ინტერნატი აწყობს დასვენებას პიონერულ, კომკავშირულ-ახალგაზრდულ, ტურისტულ და სხვა ბანაკებში.

27. სკოლა-ინტერნატის კურსდამთავრებულს ეძლევა სიმწიფის ატესტატი, რომელშიც აღნიშნული იქნება აგრეთვე საწარმოო პრაქტიკის სახე. სკოლა-ინტერნატის კურსდამთავრებულები სამუშაოდ და პროფესიული მომზადების დასასრულებლად სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებისა და აღსაზრდელების მიერ მიღებული საწარმოო მომზადების შესაბამისად მათი სურვილისა და ინდივიდუალური

მიდრეკილების გათვალისწინებით, ადგილობრივი მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტების მიერ იგზავნებიან საწარმოებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, მტს-ებსა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში, აგრეთვე ტექნიკურ და სხვა პროფესიულ სასწავლებლებში.

სკოლა-ინტერნატის კურსდამთავრებულებს, რომელთაც სურთ განაგრძონ სწავლა, უმაღლეს ან საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში ღებულობენ საერთო წესით.

V. სკოლა-ინტერნატის მოსწავლეთა კოლექტივის ორგანიზაცია

28. სკოლა-ინტერნატის ყველა აღსაზრდელი შეადგენს ერთიან კოლექტივს, რომელიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობს სკოლა-ინტერნატის მთელ ცხოვრებაში.

საზოგადოებრივ-სასარგებლო, ფიზკულტურული, კულტურულ-მასობრივი და წრეობრივი მუშაობის სხვადასხვა სახეობებში კოლექტივის მონაწილეობა ემყარება მოსწავლეთა ინიციატივის, თვითშემოქმედებისა და სოციალისტური შეჯიბრების მეთოდის ფართოდ გამოყენებას.

სკოლა-ინტერნატში კოლექტივები იქმნება კლასების პრინციპის დაცვით და აგრეთვე ინტერნატის ოთახში ერთად ცხოვრების, საწარმოო-შრომითი საქმიანობის, წრეობრივი და საკლუბო მუშაობის, სპორტში მონაწილეობისა და სხვა პრინციპებით.

პირველადი კოლექტივები ერთიანდებიან საერთო სასკოლო კოლექტივში, რომელიც ირჩევს საერთო კრებაზე სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელთა საბჭოს.

29. სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელთა კოლექტივში წამყვან როლს ახორციელებენ კომკავშირის და პიონერთა ორგანიზაციები.

სკოლა-ინტერნატის კომკავშირის ორგანიზაცია იქმნება და მუშაობს საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის წესდების საფუძველზე.

სკოლა-ინტერნატის პიონერული რაზმეული იქმნება და მუშაობს ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩი პიონერების ბავშვთა კომუნისტური ორგანიზაციის შესახებ არსებული დებულების საფუძველზე. სკოლა-ინტერნატში იქმნება წითელი ჯვრის, „დოსაააფის“ და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

VI. სკოლა-ინტერნატის თანამდებობრივი პირები

30. სკოლა-ინტერნატების მუშაკთა შტატები და ხელფასის განაკვეთები წესდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 15 სექტემბერს დამტკიცებული ტიპობრივი შტატების შესაბამისად.

31. სკოლა-ინტერნატის დირექტორი ინიშნება საუკეთესო პედაგოგთაგან, რომელსაც გააჩნია ორგანიზატორული უნარი, უმაღლესი პედაგოგიური განათლება და ხელმძღვანელი-პედაგოგიური მუშაობის სტაჟი არანაკლებ 5 წლისა.

დირექტორი პასუხს აგებს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის, მოსწავლეთა შრომითი აღზრდისა და მათი პრაქტიკული საქმიანობისათვის მომზადების სწორად დაყენებაზე, აღსაზრდელთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე და სკოლა-ინტერნატის სამეურნეო მდგომარეობაზე.

დირექტორი, ემყარება რა სკოლის საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ახორციელებს სკოლა-ინტერნატის მთელი საქმიანობისადმი საერთო ხელმძღვანელობას ერთმმართველობის პრინციპის საფუძველზე. დირექტორის განკარგულებები სავალდებულოა სკოლა-ინტერნატის ყველა მუშაკისათვის, დირექტორს უფლება ეძლევა იქონიოს სასწავლო დატვირთვა არაუმეტეს 6 საათისა კვირაში.

32. სასწავლო-აღმზრდელობითი ნაწილის გამგე ინიშნება იმ პირთაგან, რომელთაც აქვთ უმაღლესი პედაგოგიური განათლება და პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება არანაკლებ 5 წლისა, და რომლებმაც თავი გამოიჩინეს როგორც კარგმა ორგანიზატორებმა და მეთოდისტებმა.

სასწავლო-აღმზრდელობითი ნაწილის გამგე უშუალოდ ხელმძღვანელობს სკოლა-ინტერნატის სასწავლო-აღმზრდელობითსა და მეთოდურ მუშაობას და პასუხს აგებს სკოლა-ინტერნატის დირექტორის წინაშე ამ მუშაობის დაყენებაზე.

სასწავლო-აღმზრდელობითი ნაწილის გამგეს უფლება ეძლევა იქონიოს სასწავლო დატვირთვა არაუმეტეს 6 საათისა კვირაში.

33. სკოლა-ინტერნატის მასწავლებლები და აღმზრდელები შეირჩევიან საუკეთესო მასწავლებელთაგან, რომელთაც კარგად იციან ბავშვთა ფსიქოლოგია, მათი ასაკობრივი თავისებურებანი, შეუძლიათ ბავშვებისადმი სიყვარული და ყურადღება შეახამონ

გონივრულ მომთხოვნელობასთან და უნარი აქვთ პირადი მაგალითით დადებითი გავლენა იქონიონ აღსაზრდელებზე.

34. სკოლა-ინტერნატის მასწავლებელს უნდა ჰქონდეს უმაღლესი ან საშუალო (დაწყებითი კლასების მასწავლებლებს) პედაგოგიური განათლება.

მასწავლებელი პასუხს აგებს მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის ხარისხზე, იმ საგნების სასწავლო გეგმისა და პროგრამის შესრულებაზე, რომელთაც იგი ასწავლის და მასზე დაკისრებულ კლასგარეშე აღმზრდელობით მუშაობაზე.

35. უფროს აღმზრდელს უნდა ჰქონდეს უმაღლესი პედაგოგიური განათლება და პედაგოგიური მუშაობის სტაჟი არანაკლებ 5 წლისა. უფროსი აღმზრდელი პასუხს აგებს ინტერნატში აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაციაზე, დღის რეჟიმისა და შინაგანაწესის დაცვაზე, ბავშვთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე.

36. აღმზრდელს უნდა ჰქონდეს უმაღლესი ან საშუალო (I — IV კლასებისათვის) პედაგოგიური განათლება.

აღმზრდელები შეირჩევიან იმ ანგარიშით, რომ თითოეულ მათგანს შეეძლოს უხელმძღვანელოს კლასგარეშე მუშაობის რომელიმე სახეობას (ფიზკულტურაში, მუსიკაში, სიმღერაში და ა. შ.).

აღმზრდელი აწყობს აღმზრდელობითს მუშაობას ჯგუფში, მოსწავლეთა დამოუკიდებელ მუშაობას გაკვეთილების მოსამზადებლად, აღსაზრდელთა აქტიური მონაწილეობით ატარებს კლასგარეშე მუშაობის სხვადასხვა ღონისძიებას, პასუხს აგებს, რომ მოსწავლეებმა დაიცვან დადგენილი წესი და რეჟიმი, აგრეთვე პასუხისმგებელია ბავშვთა ჯანმრთელობაზე და აღსაზრდელთა მოცემულ ჯგუფზე გაპიროვნებულ მატერიალურ ფასეულობათა და მოწყობილობათა დაცვაზე.

აღმზრდელს უფლება ეძლევა იქონიოს სასწავლო დატვირთვა არაუმეტეს 6 საათისა კვირაში.

სკოლა-ინტერნატის აღმზრდელები თავისი უფლებრივი მდგომარეობით (ხელფასისა და შვებულების ხანგრძლიობის გარდა) გათანაბრებული არიან მასწავლებლებთან.

37. დირექტორის თანაშემწე სამეურნეო ნაწილში პასუხს აგებს სკოლა-ინტერნატის მეურნეობის მდგომარეობაზე, მოსწავლეთა კვების ორგანიზაციაზე, სკოლის ქონებისა და ინვენტარის მოვლა-პატრონობაზე, შენობათა და ნაგებობათა ნორმალურ ექსპლოატა-

ციაზე, მათ სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობაზე, ტრანსპორტის სწორად გამოყენებაზე.

38. სკოლა-ინტერნატის ექიმს ნიშნავს შესაბამისად საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, ავტონომიური ოლქის, რაიონის, ქალაქის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილება სკოლა-ინტერნატის დირექტორთან შეთანხმებით. იგი პასუხს აგებს სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელთა და თანამშრომელთა სამედიცინო მომსახურებაზე, ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე და ახორციელებს სისტემატურ კონტროლს დღის რეჟიმის შესრულებაზე, ფიზიკურ კულტურასა და სპორტში მეცადინეობაზე, მოსწავლეთა შრომითს დატვირთვაზე, კვების ხარისხზე და სკოლა-ინტერნატის სანიტარულ მდგომარეობაზე. ექიმი და სამედიცინო და ატარებენ აღსაზრდელთა და თანამშრომელთა სანიტარულ მომზადებას.

39. სკოლა-ინტერნატის სასწავლო-საცდელი ნაკვეთის გამგე პასუხს აგებს ამ ნაკვეთზე მუშაობის სწორად დაყენებაზე, სოფლის მეურნეობაში პრაქტიკის მოწყობაზე, მოსწავლეთა პრაქტიკული მუშაობის მატერიალური ბაზით უზრუნველყოფაზე და მატერიალური პასუხისმგებელია ნაკვეთის ქონების დაცვაზე.

40. ოსტატი (სკოლა-ინტერნატებში, რომლებშიაც მე-5 და სხვა უფროსი კლასებია) პასუხს აგებს მოსწავლეთა მუშაობის ორგანიზაციაზე სკოლა-ინტერნატების სასწავლო-საწარმოო სახელოსნოებში, მათ უზრუნველყოფაზე აუცილებელი მოწყობილობითა და მასალებით, მოსწავლეთა საწარმოო პრაქტიკის ორგანიზაციაზე და მატერიალური პასუხისმგებელია სახელოსნოების ქონების დაცვაზე.

41. კაბინეტების გამგეობას სკოლა-ინტერნატის დირექტორი აკისრებს ყველაზე უფრო გამოცდილ, შესაბამისი სპეციალობის მქონე მასწავლებლებს, კაბინეტების გამგეები პასუხს აგებენ კაბინეტების მოწყობაზე და მათი მუშაობის სწორ ორგანიზაციაზე.

42. უფროს პიონერხელმძღვანელს ნიშნავს შესაბამისად საქართველოს სსრ განათლების მინისტრი, ასსრ განათლების მინისტრი, ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილების გამგე, საქართველოს ალკკ ცენტრალურ და საოლქო კომიტეტებთან შეთანხმებით იმ პირთაგან, რომელთაც აქვთ პედაგოგიური განათლება და პიონერული მუშაობის გამოცდილება.

უფროსი პიონერხელმძღვანელი ხელმძღვანელობს პიონერული რაზმეულის მუშაობას სკოლა-ინტერნატის პედაგოგიური კოლექ-

ტივის მიერ ჩასატარებელი მუშაობის გათვალისწინებით შედგენილი პიონერული მუშაობის გეგმის საფუძველზე.

43. სკოლა-ინტერნატის ხელმძღვანელ და პედაგოგიურ პერსონალს ნიშნავს შესაბამისად საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, ასსრ განათლების სამინისტრო, ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილება განათლების ადგილობრივი ორგანოების წარდგენით, მუშაკთა დანარჩენ კატეგორიებს — სკოლა-ინტერნატის დირექტორი.

VII. სკოლა-ინტერნატის პედაგოგიური საბჭო

44. სკოლა-ინტერნატთან იქმნება პედაგოგიური საბჭო.

პედაგოგიური საბჭოს შემადგენლობაში შედიან: სკოლა-ინტერნატის დირექტორი (თავმჯდომარე), სასწავლო-აღმზრდელობითი ნაწილის გამგე, მასწავლებლები, უფროსი პიონერხელმძღვანელი, უფროსი აღმზრდელი, აღმზრდელები, სასწავლო-საცდელი ნაკვეთის გამგე, ოსტატი, დირექტორის თანაშემწე სამეურნეო ნაწილში, ბიბლიოთეკარი, ექიმი, მშობელთა კომიტეტის თავმჯდომარე.

პედაგოგიური საბჭო მუშაობს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული დებულებით პედაგოგიური საბჭოს შესახებ.

პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შედის სკოლა-ინტერნატის დირექტორის მიერ მისი დამტკიცების შემდეგ.

VIII. მშობელთა და ხელშემწყობი კომიტეტები

45. მოსწავლეთა მშობლებთან სკოლა-ინტერნატის მუდმივი და მჭიდრო კავშირის მიზნით სკოლა-ინტერნატთან იქმნება მშობელთა კომიტეტი, რომელსაც ირჩევს მშობელთა კრება.

მშობელთა კომიტეტის თავმჯდომარეს აირჩევენ კომიტეტის წევრები.

მშობელთა კომიტეტი იზიდავს მშობლებს სკოლა-ინტერნატის მთელ მუშაობაში აქტიური მონაწილეობისათვის, ეხმარება სკოლა-ინტერნატს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის, მოსწავლეთა საწარმოო პრაქტიკის, საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში მათი მონაწილეობის და კლასგარეშე მუშაობის ორგანიზაციის საქმეში.

46. საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან სკოლა-ინტერნატის მიერ მჭიდრო კავშირის დამყარების და მუშაობის აუცილებელი პირობების შექმნისა და გაუმჯობესების მიზნით, ამ ორგანიზაციების მოსა-

ზიდავად სკოლა-ინტერნატთან იქმნება ხელშემწყობი კომიტეტი.

კომიტეტის შემადგენლობაში შედიან მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოს, პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული ორგანიზაციების, წარმოების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების წარმომადგენლები და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

IX. დაფინანსება და ანგარიშგება

47. სკოლა-ინტერნატის დაფინანსება სწარმოებს საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.

სკოლა-ინტერნატებში ბავშვთა შენახვის გადასახადი ჩაირიცხება იმ ბიუჯეტების შემოსავალში, რომლებითაც ხდება სკოლა-ინტერნატების დაფინანსება.

სკოლა-ინტერნატს შეუძლია ჰქონდეს სპეციალური სახსრები, რომლებსაც ხარჯავს სკოლა-ინტერნატის დირექტორი განათლების სათანადო ორგანოს მიერ დამტკიცებული და საფინანსო ორგანოების მიერ რეგისტრირებული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.

სკოლა-ინტერნატების სახელოსნოებსა და დამხმარე მეურნეობებში მოსწავლეების მუშაობის შედეგად მიღებული შემოსავალი ხმარდება მოსწავლეთა კვების, საყოფაცხოვრებო და კულტურული მომსახურების გაუმჯობესებას, აგრეთვე ამ სკოლების სახელოსნოებისა და დამხმარე მეურნეობების გაფართოებას.

48. სკოლა-ინტერნატი სარგებლობს იურიდიული პირის უფლებით. მას აქვს ბეჭედი საქართველოს სსრ ღერბის გამოსახულებით და შტამპი სკოლა-ინტერნატის ადგილსამყოფელის აღნიშვნით.

ᲕᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑ
საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის
მინისტრი დ. მამამთავრიშვილი

ᲕᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑ
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი გ. ჯიბლაძე

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲑᲐᲕᲨᲕᲗᲐ ᲫᲕᲐᲚ-ᲡᲐᲮᲡᲠᲘᲡ ᲢᲣᲑᲔᲠᲙᲣᲚᲝᲖᲘᲡ ᲡᲐᲜᲐᲢᲝᲠᲘᲣᲛᲔᲑᲗᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡᲐ

1. ზოგადი დებულებანი

1. ბავშვთა ძვალ-სახსრის ტუბერკულოზის სანატორიუმებთან იხსნება დაწყებითი, შვიდწლიანი ან საშუალო სკოლა, ავადმყოფთა ასაკისა და კონტინგენტის შესაბამისად.

2. ბავშვთა ძვალ-სახსრის ტუბერკულოზის სანატორიუმთან არსებული სკოლა შედის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სისტემაში და აქვს თავისი ნომერი.

3. სკოლას აქვს განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ნიმუშის ბეჭედი და შტამპი.

4. სკოლას აფინანსებს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, რომელსაც ექვემდებარება ბავშვთა სანატორიუმი.

5. ბავშვთა ძვალ-სახსრის ტუბერკულოზის სანატორიუმთან არსებულ სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენურ და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისათვის საჭირო პირობებს ქმნის სანატორიუმის ადმინისტრაცია (ბინა, განათება, სასწავლო ნივთები, კაბინეტ-ლაბორატორიები).

მეცადინეობა ტარდება, ძირითადად, სუფთა ჰაერზე, შესაძლებლობის ფარგლებში ღია ცის ქვეშაც.

6. ბავშვთა ძვალ-სახსრის ტუბერკულოზის სანატორიუმთან არსებული სკოლა სასწავლო ნივთებითა და კაბინეტებისათვის საჭირო ხელსაწყოებით მარაგდება განათლების სამინისტროს საშუალებით.

7. ბავშვთა ძვალ-სახსრის ტუბერკულოზის სანატორიუმთან არსებული სკოლის მასწავლებლები სსრკ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 15 იანვრის № 535-რ განკარგულებით გათანაბრებული არიან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებლებთან.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო კპ(ბ) ცენტალური კომიტეტის 1948 წლის 10 თებერვლის № 245 დადგენილე-

ბით და სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საკავშირო კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1943 წლის 11 აგვისტოს № 875 დადგენილების შესაბამისად მათ მასობრივი სკოლების მასწავლებლებთან შედარებულ ბით უდიდდებათ ხელფასის განაკვეთი 25 პროცენტით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II. სასკოლო მუშაობის ორგანიზაციის თავისებურებანი ‹ბავშვთა ძვალ-სახსრის ტუბერკულოზის სანატორიუმში

8. სანატორიუმის რეჟიმის პირობებში სასწავლო პროცესი ზოგიერთ საგანში განსხვავდება მასობრივი სკოლების სასწავლო პროცესისაგან. პროგრამებში აუცილებელი ცვლილებები შეაქვს საგნის მასწავლებელს. ამ ცვლილებებს სკოლის ხელმძღვანელობა ათანხმებს განათლების სამინისტროს სათანადო განყოფილებასთან.

9. ავადმყოფ ბავშვთა მომსახურების, სწავლისა და ყოველგვარი სანატორიული პირობების შექმნის საქმეში უშუალოდ ებმება სანატორიუმის სამედიცინო პერსონალიც.

10. სამედიცინო, სასწავლო და აღმზრდელობითი მუშაობის მაღალ დონეზე დაყენების უზრუნველსაყოფად ექიმები ატარებენ საუბრებს მასწავლებლებთან ავადმყოფი მოსწავლის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, ხოლო პედაგოგები—სამედიცინო მუშაკებთან აღმზრდელობით და მეთოდურ საკითხებზე.

11. სასწავლო ნაწილის გამგე, აღმზრდელი მასწავლებლები და კლასის ხელმძღვანელები ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობის ელემენტარულ საკითხებში გარკვევისათვის ესწრებიან ექიმთა შემოვლას და სამედიცინო თათბირებს.

12. მასწავლებლები და აღმზრდელები სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში მტკიცედ იცავენ ბავშვთა სამკურნალო რეჟიმს.

13. სკოლაში ტარდება პიონერული და კომკავშირული მუშაობა.

14. სანატორიუმში ტარდება სამკურნალო ფიზკულტურა, რომელსაც მკურნალი ექიმის დანიშნულებით ხელმძღვანელობს სამედიცინო და. სამედიცინო დას ეხმარება აღმზრდელი მასწავლებელი.

15, სკოლაში იქმნება ავადმყოფ ბავშვთა ჯანმრთელობისათვის შესაფერისი სასკოლო მოწყობილობა: პიუპიტერები (მწოლიარე

ბავშვთა მერხი), მოძრავი დაფები (ქვევიდან ზევით) და კათედრა მასწავლებლებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

III. სასკოლო მეცადინეობა

16. სანატორიუმთან არსებული სკოლის კლასების დაკომპლექტება ხდება დღის მასობრივი სკოლებისათვის საამისოდ დადგენილ ვადებში. ახლად მიღებული ავადმყოფი ბავშვები შესაბამის კლასში ჩაირიცხებიან სკოლიდან წარმოდგენილი ცნობის ან მათი ცოდნის ინდივიდუალური შემოწმების საფუძველზე.

17. თითოეულ კლასში მოსწავლეთა კონტინგენტი განისაზღვრება 10—20 მოსწავლით. თუ კლასში 20 მოსწავლეზე მეტია, კლასი იყოფა ორად.

18. 10 მოსწავლემდე ხდება კლასების შეერთება ერთ საფინანსო კლასკომპლექტად. ასეთ შემთხვევაში ფინანსიური საათების რაოდენობა ცალკეულ საგნებში აიღება შეერთებულ კლასთა შორის უმეტესი საათიდან.

19. ცალკეულ შემთხვევაში, სათანადო ნებართვით, დასაშვებია V—X კლასების დაკომპლექტება 10-ზე ნაკლები მოსწავლით, მაგრამ არა ნაკლები 5 მოსწავლისა.

20. V — X კლასების მოსწავლეებთან, რომელთა ფაქტიური ცოდნის შესაბამისი კლასი არ არის დაკომპლექტებული, სწავლება ტარდება ინდივიდუალური კონსულტაციის წესით.

21. სკოლაში სასწავლო მუშაობა მიმდინარეობს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული მასობრივი სკოლების პროგრამებითა და სასწავლო გეგმებით. სანატორიუმთან არსებული სკოლების სპეციფიკური პირობების შესაბამისად არცერთ კლასში არ ისწავლება ფიზკულტურა, ხაზვა, პრაქტიკული მეცადინეობა და პრაქტიკუმი.

22. პროგრამები ფიზიკაში, ქიმიაში, ბიოლოგიაში, აგრეთვე შრომაში (I — IV კლასებში) განიტვირთება ბავშვთა ფიზიკური შესაძლებლობის გათვალისწინებით ამ დებულების მე-8 პუნქტის შესაბამისად.

23. იმასთან დაკავშირებით, რომ ბავშვები, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, მოკლებული არიან პოლიტექნიკური განათლების მიღების შესაძლებლობას, მათთან ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული სათანადო სასწავლო ხასიათის კინოსურათების

ჩვენება; მაქსიმალურად უნდა იქნეს ჩატარებული ცდები და პრაქ-
ტიკულ-ლაბორატორიული სამუშაოები.

24. მოსწავლეთა დღიური დატვირთვა I — IV კლასებში არ უნ-
და აღემატოს 4, ხოლო V — X კლასებში 5 აკადემიურ საათს.

25. ძირითადი ფორმა სასწავლო მუშაობისა არის გაკვეთილი, რომელიც ტარდება სპეციალური მეთოდების გამოყენებით.

26. სასწავლო მუშაობა ტარდება დილის საათებში, სანატორიუმის რეჟიმის მტკიცე დაცვით (დაუშვებელია სასწავლო საათების გადიდება და სწავლება საღამოს საათებში).

27. გაკვეთილის ხანგრძლიობა განისაზღვრება 40 წუთით, ხოლო გაკვეთილებს შორის დასვენება 10 — 15 წუთით.

28. მწოლიარე ბავშვებთან მეცადინეობისას ხდება კლასის მოწყობილობის (დაფის) ადგილის პერიოდული შეცვლა, მოსწავლის დაღლის და კისრის დეფორმაციის თავიდან აცილების მიზნით.

29. წერითი მუშაობა I—II კლასებში ტარდება ფანქრით. მელნით წერა დასაშვებია მხოლოდ მე-3 კლასიდან.

30. საზამთრო, საგაზაფხულო და საზაფხულო არდადეგები ტარდება იმავე ვადებში, რაც დაწესებულია მასობრივი სკოლებისათვის. არდადეგების დროს მოსწავლეები თავისუფლდებიან ყოველგვარი სასკოლო მეცადინეობიდან. ამ პერიოდში მათთან ტარდება კლასგარეშე მუშაობა.

31. საზაფხულო არდადეგების დროს, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაბამისად, მკურნალი ექიმის ნებართვით წარმოებს მეცადინეობა გამოცდამიცემულ მოსწავლეებთან.

32. სასწავლო წელი და მეოთხედები იწყება და მთავრდება იმავე ვადებში, რაც დაწესებულია მასობრივი სკოლებისათვის.

33. კლასიდან კლასში გადაყვანა და კურსის გასამეორებლად იმავე კლასში დატოვება I, II, III, IV, V, VI, VIII, IX კლასებში წარმოებს წლიურ შეფასებათა საფუძველზე. VII და X კლასებში ტარდება გამოცდები საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ინსტრუქციის შესაბამისად.

ცალკეულ შემთხვევებში, ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის გამო, მოსწავლე გამოცდებიდან თავისუფლდება მკურნალი ექიმის დასკვნის საფუძველზე, სამედიცინო-პედაგოგიური საბჭოს დადგენილებით.

34. მოსწავლე, რომელიც სასწავლო წლის განმავლობაში ან-მრთელობის განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობის გამო ვერ ასწ-რებდა სასწავლო პროგრამის დაძლევას, არ ფასდება.

35. მეოთხედისა და სასწავლო წლის დამთავრებისას-ყველა მოსწავლეს ხელზე ეძლევა წარმატების მოწმობა.

36. მოსწავლეს, რომელმაც დაამთავრა 7 კლასი, ეძლევა შესა-ტყვისი მოწმობა მთავარი ექიმის, სასწავლო ნაწილის გამგისა და სკოლის მასწავლებელთა ხელისმოწერით.

37. მოსწავლეს, რომელმაც დაამთავრა სანატორიუმთან არსე-ბული საშუალო სკოლა, ეძლევა სიმწიფის ატესტატი. მთავარი ექი-მის, სასწავლო ნაწილის გამგისა და მასწავლებლების ხელმოწერით.

38. სანატორიუმიდან გაწერისას ბავშვს ეძლევა ცნობა სათანა-დო კლასის ჩვენებით. მოსწავლის პირადი საქმე გადაეგზავნება სკოლას მისი გამოთხოვის საფუძველზე.

IV. კლასგარეშე მუშაობა და შრომითი პროცესი.

39. იმასთან დაკავშირებით, რომ სანატორიუმთან არსებულ სკოლაში ბავშვები, ხანგრძლივი წოლის გამო, მოკლებული არიან ჩვეულებრივი ფიზიკური განვითარების შესაძლებლობას, აუცილე-ბელია მოსწავლეთა შორის კლასგარეშე მუშაობის ფართოდ გაშ-ლა. ამ მიზნით მიზანშეწონილია ჩამოყალიბდეს შემდეგი წრეები:

1. ლიტერატურული
2. დრამატული
3. ჭადრაკის
4. მუსიკალური
5. ბიოლოგიური
6. ხატვის
7. ხელსაქმის
8. ფოტოგადაღებისა და სხვ.

40. წრეში ერთიანდება 5 — 20 მოსწავლე. წრეებში მოსწავლე-თა ჩაბმა ხდება მკურნალი ექიმის ნებართვით. სანატორიუმში ეწ-ყობა კინოსურათების დემონსტრირება და კონცერტები, როგორც მოწვეული, ისე ადგილობრივი ძალებით.

41. სანატორიუმში ეწყობა მოწინავე ადამიანებთან შეხვედრები.

V. ხელმძღვანელობა, აღრიცხვიანობა, კონტროლი.

42. სანატორიუმთან არსებული სკოლის ხელმძღვანელობას ახორციელებს მთავარი ექიმი სკოლის დირექტორის უფლებებით. იგი პასუხს აგებს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და განათლების სამინისტროს წინაშე სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენების, ზემდგომი ორგანოების მითითებისა და განკარგულების მაღალხარისხოვნად შესრულების საქმეში.

43. მეთოდური ხელმძღვანელობა სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში ეკისრება რაიონის განათლების განყოფილებას.

44. სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობას ხელმძღვანელობს სასწავლო ნაწილის გამგე, რომელსაც ნიშნავს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო ისეთ მუშაკთაგან, რომელთაც აქვთ უმაღლესი პედაგოგიური განათლება და პედაგოგიური სტაჟი არანაკლები 3 წლისა.

45. სასწავლო ნაწილის გამგე სანატორიუმის მთავარ ექიმთან ერთად ადგენს სანატორიუმის წლიურ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გეგმას, ახორციელებს კონტროლსა და ხელმძღვანელობას მასწავლებლებისა და აღმზრდელების მუშაობაზე, ადგენს სახელმძღვანელოებითა და სხვა მოწყობილობით სკოლის მომარაგების გეგმას, ატარებს პედაგოგიურ თათბირებს; ესწრება მასწავლებლებს გაკვეთილებზე და უწევს მათ მეთოდურ დახმარებას.

სკოლის წლიურ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გეგმას ამტკიცებს სამედიცინო პედაგოგიური საბჭო; დანარჩენ გეგმებს კი-სანატორიუმის მთავარი ექიმი (სკოლის დირექტორი) სასწავლო ნაწილის გამგის წარდგენით. იმ შემთხვევაში, როცა სანატორიუმში ბავშვთა რაოდენობა 100-ზე ნაკლებია, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ხელმძღვანელობა ეკისრება სანატორიუმთან არსებული სკოლის ყველაზე უფრო გამოცდილ მასწავლებელს.

46. სასწავლო ნაწილის გამგე თავის მუშაობაში ექვემდებარება სანატორიუმის მთავარ ექიმს და პასუხს აგებს სანატორიუმში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დაყენებაზე.

47. მთელი პედაგოგიური პერსონალი (ვინც არდადეგების პერიოდში არ თავისუფლდება) სანატორიუმის გეგმის საფუძველზე აწარმოებს მოსწავლეებთან აღმზრდელობით და სხვა ხასიათის

მუშაობას სასწავლო ნაწილის გამგისა და მთავარი ექიმის მითითებით.

48. საზაფხულო არდადეგების დროს ბავშვები იმყოფებიან აღმზრდელთა მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ. აღმზრდელთა მუშაობა მასწავლებელთა შვებულებაში გაშვება ხდება საერთო წესით.

49. სანატორიუმში იქმნება სამედიცინო-პედაგოგიური საბჭო, რომლის სხდომებზე იხილება და წყდება ავადმყოფ ბავშვთა მკურნალობისა და სწავლა-აღზრდის ცალკეული საკითხები.

საბჭოს შემადგენილობაში შედის: სანატორიუმის მთავარი ექიმი, ყველა მასწავლებელი, მკურნალი ექიმი, განყოფილების გამგეები, პიონერხელმძღვანელი, უფროსი ექთანი. საბჭოს თავმჯდომარეობს სანატორიუმის მთავარი ექიმი. საბჭო ირჩევს პედაგოგებიდან მდივანს ერთი წლის ვადით. საბჭოს სხდომები იწვევა საჭიროების მიხედვით, მაგრამ არა ნაკლები ერთისა მეოთხედში. საბჭოს გადაწყვეტილებას ამტკიცებს მთავარი ექიმი, რის შემდეგაც ის სავალდებულოა სანატორიუმის მთელი სამედიცინო და პედაგოგიური პერსონალისათვის.

50. სანატორიუმთან არსებულ სკოლას სასწავლო ნივთებითა და ინვენტარით ამარაგებს სანატორიუმის სამნეო ნაწილის გამგე სასწავლო ნაწილის გამგის მიერ წარდგენილი და დირექტორის მიერ დამტკიცებული მოთხოვნილების შესაბამისად.

51. ყოველგვარ ანგარიშს, როგორც ცალკეული კლასის, ისე მთლიანად სკოლის მუშაობის შესახებ, იხილავს საბჭო, რაც ფორმდება სათანადო ოქმით, ოქმი ინახება სასწავლო ნაწილის გამგესთან, როგორც სასკოლო მუშაობის ძირითადი დოკუმენტი.

52. ანგარიშს სკოლის ნახევარწლიური და წლიური მუშაობის შესახებ ადგენს სანატორიუმის მთავარი ექიმი და სასწავლო ნაწილის გამგე. მას იხილავს სამედიცინო-პედაგოგიური საბჭო და ეგზავნება ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს და რაიონის განათლების განყოფილებას მთავარი ექიმისა და სასწავლო ნაწილის გამგის ხელმოწერით.

53. სკოლის თითოეულ მოსწავლეზე იქმნება პირადი საქმე, განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ფორმის მიხედვით.

54. მთელი სასწავლო ქონება აღირიცხება, ტარდება ზონარგაყრილ და დალუქულ საინვენტარო წიგნში საბუხჰალტრო გაფორმებითა და პასუხისმგებელ პირზე დაწერით.

55. ავადმყოფ ბავშვთა მშობლებთან კავშირი მყარდება საჭიროების მიხედვით, ძირითადად წერილებით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 313

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1957 წლის 2 აპრილი

საყოველთაო სწავლების განხორციელების მდგომარეობის შესახებ სამტრედიისა და ლაგოდეხის რაიონებში

გავეცანი რა სამტრედიისა და ლაგოდეხის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეების ანგარიშს და განათლების სამინისტროს მუშაკთა ბრიგადის მონაკვლევ მასალას სამტრედიისა და ლაგოდეხის რაიონების სკოლებში საყოველთაო სწავლების განხორციელების შესახებ აღვნიშნავ, რომ ხსენებული რაიონების სკოლებს ერთგვარი წარმატებები აქვთ მოპოვებული სასკოლო ასაკის ბავშვთა სწავლებაში ჩაბმისა და საყოველთაო სწავლების განხორციელების მიმართულებით. სამტრედიის რაიონის ოქტომბრის (დირექტორი ა. ლეჟავა), ყაზბეგის (დირექტორი ე. ჯიქიძე), ჩხენიშის (დირექტორი გ. ახობაძე), ჭაგნის (დირექტორი ბ. კობალაძე) შვიდწლიანი და ხუნჯულაურის დაწყებითი (გამგე ქ. წულაია) სკოლების მიკრორაიონში არ არის სწავლებაში ჩაბმული სკოლის ასაკის არც ერთი ბავშვი და მოზარდი, მოწესრიგებულია მოსწავლეთა მოძრაობის აღრიცხვა და ადგილი არა აქვს მოსწავლეთა განთესვას. ლაგოდეხის რაიონში მიმდინარე სასწავლო წლიდან სწავლებაში ჩაბმულ იქნა სკოლებიდან გასული 109 ბავშვი და მოზარდი. ამ მიმართულებით კარგად იმუშავეს ვარდისუბნის საშუალო (დირექტორი ი. გობეჯიშვილი) და აფენის შვიდწლიანმა (დირექტორი ლ. წიწილაშვილი) სკოლებმა.

მიუხედავად ამისა, საყოველთაო სწავლების განხორციელების საქმეში შემოწმებული რაიონების სკოლებს მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები აქვთ.

შეუსრულებელია მოსწავლეთა კონტინგენტის სახალხო-ძალეურნეო გეგმა. 1956/57 სასწავლო წელს ლაგოდეხის რაიონის სკოლებში გეგმით უნდა ყოფილიყო 9893 ბავშვი და მოზარდი, ფაქტიურად კი 1956 წლის 5 სექტემბრის მდგომარეობით იერიცხებოდა 9097 მოსწავლე (92%), ხოლო სამტრედიის რაიონის სკოლებში ნაცვლად 9177 მოსწავლისა 8852 მოსწავლე (96,5%), მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმა ძირითადად VIII — XI კლასებში არ შესრულებულა.

განათლების განყოფილებებისა და სკოლების ხელმძღვანელები საჭირო ღონისძიებებს არ ატარებენ მოსწავლეთა კონტინგენტის შესანარჩუნებლად. გასული 1955/56 სასწავლო წლის განმავლობაში სამტრედიის რაიონის სკოლების მოსწავლეთა კონტინგენტი 633 მოსწავლით შემცირდა. ლაგოდეხის რაიონის სკოლების მოსწავლეთა კონტინგენტი ამავე პერიოდში შემცირდა 911 მოსწავლით.

ბევრი მოსწავლე სკოლიდან გასულია სწავლაში ჩამორჩენილობის გამო. სკოლებს ჩამოშორდა და მიმდინარე სასწავლო წლიდან სწავლა არ განუახლებია სამტრედიის რაიონში 151 და ლაგოდეხის რაიონში 229 მეორეწლიან მოსწავლეს.

განათლების განყოფილებებს და ბევრი სკოლის დირექტორს არა აქვთ სწავლებაში ჩაუბმელ და სკოლიდან განთესილ ბავშვთა და მოზარდთა ზუსტი აღრიცხვა, ისინი დროულად არ ღებულობენ ზომებს ამ ბავშვების სკოლაში დასაბრუნებლად. ლაგოდეხის რაიონის განათლების განყოფილების მასალების მიხედვით მიმდინარე სასწავლო წლიდან სწავლებაში ჩაუბმელი იყო 7 — 15 წლის ასაკის 53 ბავშვი და მოზარდი. შემოწმებამ კი გამოავლინა, რომ მარტო ხუთი სკოლის მიკრორაიონში სკოლის გარეთაა 83 ბავშვი და მოზარდი. ამ მხრივ განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა კაბალისა და ბაისუბნის სასოფლო საბჭოებში. კაბალის სასოფლო საბჭოში სკოლის გარეთ არის 29 ბავშვი და მოზარდი, აქედან მარტო კაბალის საშუალო სკოლის (დირექტორი ა. ალიევი) მიკრორაიონში — 21; ბაისუბნის სასოფლო საბჭოში სკოლის გარეთ არის 24 ბავშვი და მოზარდი, აქედან ბაისუბნის საშუალო სკოლის (დირექტორი ბ. ტყემალაძე) მიკრორაიონში 9, თელის შვიდწლიანი სკოლის (დირექტორი ი. ხიზანიშვილი) მიკრორაიონში—9, ხოლო სხალგორის შვიდწლიანი სკოლის (დირექტორი გ. შუბითიძე) მიკრორაიონში —

6 მოსწავლე. სამტრედიის რაიონის სკოლების დირექტორების მიერ წარმოდგენილი ცნობებით 1956 წლის 5 სექტემბრისათვის სკოლას ჩამოშორებული იყო 65 მოსწავლე, ფაქტიურად კი სკოლას ჩამოშორებული მოსწავლე რაიონში ასზე მეტი იყო. ამავე რაიონის კულაშის სასოფლო საბჭოს აღწერის მასალების მიხედვით მ/წ იანვარში სკოლის გარეთ იყო 7 — 15 წლის ასაკის 41 ბავშვი და მოზარდი. საკომლო სიებისა და სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე არსებული სკოლების მოსწავლეთა კონტინგენტის შედარებით კი გამოვლინდა, რომ აღნიშნული სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე გაცილებით მეტი ბავშვი და მოზარდია სკოლის გარეთ. ასე, მაგალითად, კულაშის ვ. სტურუას სახელობის საშუალო სკოლიდან (დირექტორი ა. კოპალეიშვილი) განთესილია 17 ბავშვი და მოზარდი, კულაშის 1 საშუალო სკოლიდან (დირექტორი კ. ძნელაძე) — 13. მოსწავლეთა განთესვას სამტრედიის რაიონის სხვა სკოლაშიც აქვს ადგილი (დიდი ჯიხაიშისა და ღანირის საშუალო სკოლები). სულ მიმდინარე სასწავლო წლის პირველ ნახევარში რაიონის სკოლებიდან განთესილია 67 ბავშვი და მოზარდი. მოსწავლეთა განთესვას ადგილი აქვს აგრეთვე ლაგოდეხის რაიონის ყარსუბნის (10 მოსწავლე), აფენის (6 მოსწავლე) საშუალო, თამარიანის შვიდწლიანი (8 მოსწავლე) და რიგ სხვა სკოლებში.

ზოგიერთი სკოლის დირექტორი სკოლიდან გასულ მოსწავლეთა სწავლებაში ჩაბმის ნაცვლად აწარმოებს სიიდან მათ ამორიცხვას, როგორც ასაკგადაცილებულებისა. ზოგჯერ ამავე მიზეზით მათ სკოლიდანაც რიცხავენ (ლაგოდეხის რაიონის თელის შვიდწლიანი სკოლა). ბევრ სკოლაში (სამტრედიის რაიონის ღანირის, დიდი ჯიხაიშის საშუალო, ღანირის დაწყებითი, ლაგოდეხის რაიონის ბაისუბნის, კაბალის საშუალო, თელისა და სხალგორის შვიდწლიანი სკოლები) არ არის მოწესრიგებული მოსწავლეთა მოძრაობის აღრიცხვა. განათლების განყოფილებები და სკოლების დირექტორები არ იცავენ საქართველოს სსრ განათლების მინისტრის 1956 წლის 22/XII ბრძანებით დადგენილ წესს მოსწავლეთა ერთი სკოლიდან ან რაიონიდან მეორე სკოლაში ან რაიონში გადასვლის შესახებ.

არც ერთ სკოლაში არ არის გაფორმებული ბრძანებები ავადმყოფობის გამო სკოლიდან გასულ მოსწავლეთა სიიდან ამორიცხვის შესახებ.

ლაგოდეხის რაიონის სკოლებში სასკოლო ასაკის ბავშვთა აღ-
წერის მასალები უმეტესად არ არის შედარებული საკომლო წიგნე-
ბის ჩანაწერებთან და სწავლებაში ფაქტიურად ჩაბმულ ბავშვე-
თა სიებთან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სკოლის ასაკის ბავშვთა ზუსტი სიების შედგენას აძნელებს საკომლო წიგნების არასწორი ჩანაწერები. ბევრი ცნობა ბავშვთა შესახებ (დაბადების წელი, სახელი, გვარი) საკომლო წიგნში შეტანილია ზეპირი განცხადების საფუძველზე და არ ემყარება დაბადების მოწმობის მონაცემებს (სამტრედიის რაიონის დიდი ჯიხაიშისა და კულაშის სასოფლო საბჭოები). ამასთან სასოფლო საბჭოებს საკომლო წიგნებში შეტანილი ჰყავთ ისეთი ბავშვები, რომლებიც არ ცხოვრობენ მოცემულ სასოფლო საბჭოში და ზოგიერთს არც არასოდეს უსწავლია ამ სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე არსებულ რომელიმე სკოლაში. განათლების განყოფილებებისა და სკოლების ხელმძღვანელები კი ვერ აღწევენ იმას, რომ სასოფლო საბჭოების აღმასკომებმა გადასინჯონ საკომლო წიგნებში არასწორად შეტანილი ცნობები ბავშვების შესახებ და სიიდან ამოიღონ ისინი, რომლებიც საცხოვრებლად სხვაგან არიან გადასულნი; იქონიონ ზუსტი ცნობები ასეთი ბავშვების სწავლის შესახებ.

სუსტია სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზა: სასკოლო შენობები ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას, ძალზე ცუდი მდგომარეობაა ამ მხრივ სამტრედიის რაიონის კულაშის ვ. სტურუას სახელობისა და ლაგოდეხის საშუალო სკოლებში: ლაბორატორია-კაბინეტები ღარიბია ხელსაწყო-იარაღებითა და მოწყობილობით, პრიმიტიულია, ხოლო ზოგიერთ სკოლაში სასწავლო სახელოსნოები სრულებით არ არის.

პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე (სამტრედიის I სკოლის გარდა) არ არის განხილული საყოველთაო სწავლების საკითხი. განათლების განყოფილებებსა და სკოლებს არასაკმაო ღონისძიება აქვთ დასახული პარტიის XX ყრილობის მიერ დასმული ამოცანების საფუძველზე საშუალო განათლების შემდგომი გაფართოების უზრუნველსაყოფად.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სამტრედიისა და ლაგოდეხის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა (გ. კანდელაკი, გ. წიქარიშვილი):

ა) „სასკოლო ასაკის (7 — 17 წლამდე) ბავშვთა და მოზარდთა

აღრიცხვის ორგანიზაციისა და საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის შესრულების კონტროლის წესის შესახებ“ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1943 წლის 28 დეკემბრის დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად სასოფლო საბჭოს აღმასკომებთან ერთად უზრუნველჰყონ 7 — 17 წლის ასაკის ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვა მ/წ 15 აპრილის მდგომარეობით;

ბ) სკოლების დირექტორების მიერ წარდგენილი აღწერის მასალები შეადარონ საკომლო წიგნების ჩანაწერებსა და მოსწავლეთა სიებს. შეადგინონ მათ მიკრორაიონში მცხოვრებ 7 — 17 წლის ასაკის ბავშვთა და მოზარდთა ზუსტი სია და იქონიონ საჭირო ცნობები როგორც სწავლებაში ჩაბმულ, ისე სკოლის გარეთ დარჩენილ ბავშვთა შესახებ; უზრუნველჰყონ სკოლის გარეთ დარჩენილ ბავშვთა და მოზარდთა ჩაბმა შესაბამის კლასებში მომავალი სასწავლო წლიდან;

გ) მოაწესრიგონ მოსწავლეთა მოძრაობის აღრიცხვა სკოლებში, ზუსტად დაიცვან საქართველოს სსრ განათლების მინისტრის 1956 წლის 22 დეკემბრის ბრძანებით დადგენილი წესი მოსწავლეთა ერთი სკოლიდან მეორეში გადასვლის შესახებ და უზრუნველჰყონ მოსწავლეთა არსებული კონტინგენტის შენარჩუნება;

დ) გულდასმით შეამოწმონ სკოლების დირექტორების მიერ წარმოდგენილი ცნობები მოსწავლეთა კონტინგენტისა და სწავლებაში ჩაუბმელი ბავშვებისა და მოზარდების შესახებ; სასჯელი დაადონ იმ დირექტორებს, რომლებიც არასწორ ცნობებს წარმოადგენენ;

ე) დასვან საკითხი რაისაბჭოს აღმასკომის წინაშე და მიაღწიონ იმას, რომ სასოფლო საბჭოების აღმასკომებმა გადასინჯონ და გაასწორონ საკომლო წიგნებში არასწორად შეტანილი ცნობები ბავშვების შესახებ. სიიდან ამოიღონ სხვა სასოფლო საბჭოში ან ქალაქში მუდმივ საცხოვრებლად წასული ბავშვები და მოზარდები, იქონიონ ზუსტი ცნობები მათი სწავლის შესახებ;

ვ) არსებითად გააუმჯობესონ სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, მიაღწიონ სწავლების ხარისხისა და მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლებას; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სწავლაში ჩამორჩენილ და მეორეწლიან მოსწავლეებთან მუშაობისა და მათდამი დახმარების საქმეს (დამატებითი გაკვეთილები, ინდივიდუალური კონსულტაციები და სხვ.); შეიმუშაონ და გაატარონ

საჭირო ღონისძიებანი საზაფხულო დავალება და საშემოდგომო გამოცდამიცემულ მოსწავლეებთან მუშაობის ორგანიზაციის შესახებ;

ზ) მიაღწიონ სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებას, მიზანშეწონილად გამოიყენონ ამ მიზნისათვის ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნობანი და კოლმეურნეობათა, შეფსაწარმოთა და მშობელთა საზოგადოებრიობის დახმარება;

თ) სკოლების ინსპექტირების დროს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საყოველთაო სწავლების განხორციელების მდგომარეობის შესწავლას. შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი პარტიის XX ყრილობის დადგენილების შესაბამისად საყოველთაო საშუალო განათლების შემდგომი გაფართოების უზრუნველსაყოფად.

2. სამტრედიის რაიონის განათლების განყოფილების გამგემ ამხ. გ. კანდელაკმა ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანოებთან შეთანხმებით ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა ჩაატაროს მოსახლეობაში (განსაკუთრებით კულაშის სასოფლო საბჭოში) საყოველთაო საშუალო განათლების შემდგომი გაფართოების ამოცანების შესახებ.

3. ლაგოდეხის რაიონის კაბალისა და ბაისუბნის საშუალო და თელის შვიდწლიანი სკოლების დირექტორებს ა. ალიევს, შ. ტყემალაძესა და ი. ხიზანიშვილს, სამტრედიის რაიონის კულაშის ვ. სტურუას სახელობის, კულაშის 1-ლი, დიდი ჯიხაიშისა და ღანირის საშუალო სკოლების დირექტორებს ა. კოპალეიშვილს, კ. ძნელაძეს, ა. ყუფარაძესა და მ. ჯიბლაძეს იმის გამო, რომ მათ ვერ უზრუნველჰყვეს სკოლის გარეთ დარჩენილ და განთესილ ბავშვთა და მოზარდთა სწავლებაში ჩაბმა, — მიეთითოთ.

4. სამტრედიისა და ლაგოდეხის განათლების განყოფილებათა გამგეებმა ეს ბრძანება განიხილონ სახალხო განათლების საბჭოს სხდომაზე და დასახონ საჭირო ღონისძიებანი საყოველთაო სწავლების განხორციელების დარგში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1957 წლის 29 მარტის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **გ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 316

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1957 წლის 2 აპრილი

წითელწყაროს რაიონის ზემო-მაჩხაანის საშუალო სკოლაში საყოველთაო სწავლების კანონის გატარების მდგომარეობის შესახებ

აღვნიშნავ, რომ საყოველთაო სწავლების კანონის განხორციელების საქმეში ზემო-მაჩხაანის საშუალო სკოლას (დირექტორი ვ. ჯამასპაშვილი) გარკვეული წარმატებები აქვს მოპოვებული. გასული წლის აპრილში სკოლამ სასოფლო საბჭოს დეპუტატებთან ერთად უბნების მიხედვით კარდაკარ შემოვლით აღრიცხა სასკოლო ასაკის ყველა ბავშვი და საკომლო დავთრების ჩანაწერებთან შედარებით დააზუსტა მათი რაოდენობა. 20 — 30 აგვისტოს სკოლამ განმეორებით შეამოწმა სასკოლო ასაკის ბავშვთა სიები და მოახდინა კლასების დაკომპლექტება.

1955 — 1956 სასწავლო წელს 7 კლასი დაამთავრა 55 მოსწავლემ. ამათგან მერვე კლასში სწავლობს 47, სპეციალურ საშუალო სასწავლებელში — 4, ხოლო 4 მოსწავლე მუშაობს კოლმეურნეობაში. რვა კლასი დაამთავრა 87 მოსწავლემ, ამათგან მეცხრე კლასში სწავლობს 65, საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში — 8, დანარჩენი 14 ახალგაზრდა კოლმეურნეობაში მუშაობს.

ამ ახალგაზრდებმა თავი გამოიჩინეს საკოლმეურნეო შრომაში. მათ გამომუშავებული აქვთ თითოეულს 300 — 700 შრომადღე.

სასწავლო წლის დაწყებისას სკოლაში არ გამოცხადდა სასკოლო ასაკის 14 ბავშვი. სკოლამ სასოფლო საბჭოს აღმასკომთან და კოლმეურნეობის გამგეობასთან ერთად მიიღო ყველა ზომა სწავლებაში მათ ჩასაბმელად. საკითხი განხილული იქნა პედაგოგიური

საბჭოსა და სასოფლო საბჭოს აღმასკომის სხდომაზე და მიღწეულ-
იქნა 13 ბავშვის სწავლებაში ჩაბმა.

სათანადო ყურადღება ექცევა ხელმოკლე ოჯახების ბავშვებ-
სათვის დახმარების საქმეს. მიმდინარე სასწავლო წელს ... ნეობის მიერ დახმარება გაეწია 62 ბავშვს, მათ მიეცა 6.000 მანეთის ღირებულების სამრეწველო საქონელი.

მიუხედავად ამისა, საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარების საქმეში სკოლას გარკვეული ნაკლოვანებანი გაჩნია. სათანადო ყურადღება არ ექცევა მოსწავლეთა კონტინგენტის სრულად შენარჩუნების საქმეს. მიმდინარე სასწავლო წელს სკოლიდან განითესა 9 მოსწავლე, მოუწესრიგებელია მოსწავლეთა მოძრაობის ჟურნალის წარმოება. ცუდად არის დაყენებული მუშაობა მეორეწლიან მოსწავლეებთან. მეორე მეოთხედის შედეგად ვერ ასწრებდა 18 მეორეწლიანი მოსწავლე. დაბალია მოსწავლეთა აკადემიური წარმატება. სასწავლო წლის II მეოთხედის ბოლოს შეფასებულ 498 მოსწავლიდან ვერ ასწრებდა 101. განსაკუთრებით დაბალია მოსწრება IX კლასებში, სადაც 63 შეფასებული მოსწავლიდან ვერ ასწრებდა 24. ადგილი აქვს მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების არასაპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევებს.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

ზემო-მაჩხაანის საშუალო სკოლის დირექტორმა (ვ. ჯამასპაშვილი):

1. მიიღოს ყველა ზომა სკოლაში მოსწავლეთა კონტინგენტის შესანარჩუნებლად.

2. დააზუსტოს სხვადასხვა დროს სკოლიდან გასულ მოსწავლეთა სია და უზრუნველყოს ახალი სასწავლო წლიდან ამავე სკოლაში ან სოფლის ახალგაზრდობის სკოლის შესაბამის კლასებში მათი ჩაბმა.

3. წესრიგში მოიყვანოს მოსწავლეთა მოძრაობის წიგნი და ზუსტად დაიცვას მოსწავლეთა სკოლიდან სკოლაში გადასვლის ყველა წესი.

4. გაატაროს საჭირო ღონისძიებანი, რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი მოსწავლეთა მიერ არასაპატიო მიზეზით გაცდენილი გაკვეთილების რაოდენობა.

5. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს აკადემიურად ჩამორჩენილ და მეორეწლიან მოსწავლეთა შორის მუშაობას.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1957 წლის 29 მარტის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **გ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 320

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1957 წლის 4 აპრილი

სკოლებში კლასგარეშე სპორტული მუშაობის მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ

რესპუბლიკის სკოლებში კლასგარეშე სპორტული მუშაობის შემოწმებამ გვიჩვენა, რომ ზოგიერთი განათლების განყოფილება ამ მიმართულებით სათანადო ღონისძიებებს ვერ ახორციელებს. ბევრ საშუალო და შვიდწლიან სკოლაში კლასგარეშე სპორტული მუშაობა არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული, დღემდე ჩამოუყალიბებელია ფიზკულტურის კოლექტივები, ხოლო იქ, სადაც ასეთი არსებობს, მუშაობა ფორმალურ ხასიათს ატარებს (ქ. გორის I და II, გორის რაიონის სოფ. ტირძნისის, კარალეთის, ხიდისთავის, ზესტაფონის რაიონის სოფ. საზანოს და პირველი სვირის საშუალო სკოლები). აღნიშნულ სკოლებში სისტემატურად არ ტარდება სპორტის ცალკეული სახეობების მიხედვით სექციური მუშაობა, არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ნიშნოსანთა და თანრიგოსანთა მომზადება, ცუდად არის დაყენებული საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების (მსაჯების, ფიზკულტურული ორგანიზატორების, ინსტრუქტორების) მომზადება; არ ტარდება სასკოლო სასპორტო კალენდარით გათვალისწინებული შეჯიბრებები, ამასთან, რესპუბლიკის უმრავლეს სკოლაში არ ტარდება მეცადინეობამდე ტანვარჯიში, მაშინ, როცა კლასგარეშე სპორტული მუშაობისათვის ფიზკულტურის მასწავლებელები სათანადო გასამრჯელოს ღებულობენ.

სათანადო ყურადღება არ ექცევა მარტივი ტიპის სპორტულ ნაგებობათა მშენებლობას, თვითნაკეთი სპორტული ხელსაწყოების დამზადებასა და არსებული სასპორტო ინვენტარის შეკეთებას.

ქ. გორის V და ზესტაფონის რაიონის პირველი სვირის საშუალო სკოლების მოსწავლეები ვარჯიშობენ გატეხილ ორძელზე. ზესტაფონის რაიონის საზანოს საშუალო სკოლას არ გააჩნია ფიზიკური კულტურაში მეცადინეობისათვის ჩასატარებელი ადგილი, მცხეთის რაიონის სოფ. სასხორის შვიდწლიანი სკოლის ოდესღაც არსებული სასპორტო მოედანი მიყვანილია უვარგის მდგომარეობამდე.

შემოწმებული სკოლების პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე არ არის განხილული საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1956 წლის 24 იანვრის ბრძანება № 79/41. მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტული მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

განათლების ორგანოები არადამაკმაყოფილებლად ახორციელებენ XX ყრილობის მიერ დასახულ ამოცანებს მოსწავლე ახალგაზრდობაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების შესახებ.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონების, ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) მითითება მისცენ სკოლების დირექტორებს, რათა სადურგლო და საზეინკლო სახელოსნოებში მოსწავლეთა ძალებით დაამზადონ საჭირო სპორტული ინვენტარი (სატანვარჯიშო სკამები, კედელი, კიბე, ჯოხები, ბუმი, ლატანი ცოცვისათვის, ღერძი, ხის ორძელი, დირე, სახტომი დგამები, სახტომი ბოგი და სხვ.) და ა/ წლის 25 აპრილამდე სრულ წესრიგში მოიყვანონ სასკოლო სპორტული მოედნები (მძლეოსნური სექტორებით);

ბ) დასახონ და გაატარონ სათანადო ღონისძიებანი სკოლებში ფიზიკური აღზრდისა და სპორტული მუშაობის გასაუმჯობესებლად.

2. შვიდწლიანი და საშუალო სკოლების დირექტორებმა:

ა) მიმდინარე წლის 30 აპრილამდე სკოლებთან ჩამოაყალიბონ და ორგანიზაციულად განამტკიცონ ფიზიკური კულტურის კოლექტივები, იმ დებულების შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1955 წლის 18 თებერვლის დადგენილებით;

ბ) რესპუბლიკის, ოლქის, ქალაქის, რაიონის სასპორტო კალენდარის შესაბამისად შეადგინონ სასკოლო სპორტული კალენდარი

და არა უგვიანეს ა/წლის 25 აპრილისა წარუდგინონ დასამტკიცებლად რაიონის, ქალაქის განათლების განყოფილებას და ფიზიკური კულტურისა და სპორტის ადგილობრივ კომიტეტს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) დაავალონ ფიზიკური კულტურის მასწავლებლებს სისტემატურად ჩაატარონ სკოლებში მეცადინეობამდე ტანვარჯიში;

დ) ფიზიკური კულტურის მასწავლებელთა კლასგარეშე სპორტული მუშაობის ანაზღაურება მოახდინონ მხოლოდ მას შემდეგ, როცა ფიზკულტურის მასწავლებელს შედგენილი ექნება სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული სექციური მუშაობის ცხრილი და ჩატარებული მუშაობის აღრიცხვა შემოწმდება სკოლის სასწავლო ნაწილის გამგის მიერ;

ე) აღნიშნული ბრძანება განიხილონ პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე.

3. სკოლების სამმართველომ (ამხ. გ. საყვარელიძე) და ფიზიკური აღზრდის მეთოდურმა კაბინეტმა (ამხ. გ. მერკვილაძე) თვალყური ადევნონ ამ ბრძანების შესრულებას.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1957 წლის 29 მარტის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მ ი ნ ი ს ტ რ ი **გ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 332

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1957 წლის 5 აპრილი

ქ. თბილისის 77-ე საშუალო სკოლის მოწინავე გამოცდილების განზოგადების შესახებ

როგორც შემოწმებით გამოირკვა, ქ. თბილისის 77-ე საშუალო სკოლა (დირექტორი ამხ. გ. კობახიძე) რესპუბლიკაში მოწინავეა. მჭიდროდ არის დარაზმული სკოლის მთელი პედაგოგიური კოლექტივი, სასკოლო პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციები, რამაც უზრუნველყო მოსწავლეთა მტკიცე მეგობრული კოლექტივის შექმნა. იმის შედეგად, რომ მოფიქრებულად ხორციელდება პედაგოგიურ თეორიაში რეკომენდებული და პრაქტიკით გამართლებული წახალისება-დასჯის ღონისძიებანი, უკანასკნელ დროს მკვეთრად ამაღლდა მოსწავლეთა პასუხისმგებლობის გრძნობა.

სანიმუშოდ არის მოვლილი სასკოლო შენობა, ავეჯი და კარმიდამო. მომავალი სასწავლო წლისათვის სკოლა არავითარ შეკეთებას არ საჭიროებს. გადაწყვეტილი აქვთ, უახლოესი 3-4 წლის განმავლობაში მიმდინარე რემონტი არ დასჭირდეს არც შენობას და არც ავეჯს.

წესრიგშია მოყვანილი სკოლის ეზო, კალათბურთის, ფრენბურთის, ჩოგბურთის მოედნები და ფიზკულტურის დარბაზი, სადაც სისტემატურად ეწყობა სასკოლო და სარაიონო შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეებში. მთელ სკოლაში მოსაწონი სისუფთავეა. დერეფნები და საკლასო ოთახები გამწვანებულია ოთახის მცენარეებით. დერეფნებში დადგმულია ქართველი, რუსი, სომეხი მწერლების ბიუსტები. მოსწავლეთათვის მოწყობილია პირსაბანი, სპეციალური კუთხე ფეხსაცმელ-ტანსაცმელის გასაწმენდი მოწყობი-

ლობით, საკლასო ოთახებში, გარდა ჩვრებისა, დაფებზე ჩამოკ-
დებულია ხელსახოცები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლის დირექცია სასწავლო წლის დასაწყისში სათანადო-
ტით აბარებს კლასის ხელმძღვანელებს საკლასო ოთახებს და ინ-
ვენტარს. კლასის ხელმძღვანელები თავის მხრივ მოსწავლეებზე
აპიროვნებენ ოთახებსა და ინვენტარს; სკოლის ქონების ჩაბარება-
გადაბარება ხდება ცვლების მორიგეთა მეშვეობით. თითოეულ სარ-
თულზე მორიგეობს IX — XI კლასების 4 მოსწავლე. მეცადინეო-
ბის დამთავრების შემდეგ მოსწავლეები ცხადდებიან სკოლის ხელ-
მძღვანელობასთან და აბარებენ პატაკს, ხოლო პასუხისმგებელ მო-
რიგეს სპეციალურ რვეულში შეაქვს მორიგეობის დროს სკოლა-
ში მომხდარი შემთხვევები.

სკოლას მჭიდრო კავშირი აქვს დამყარებული იმ წარმოება-და-
წესებულებებთან, სადაც მოსწავლეთა მშობლები მუშაობენ. მშობ-
ლებმა იციან თავიანთი შვილების წარმატების შესახებ და ზომებ-
საც დროულად ღებულობენ.

კომკავშირის ორგანიზაცია აწყობს თეორიულ კონფერენციებს
შეგნებული დისციპლინის განმტკიცებისა და აკადემიური წარმა-
ტების საკითხებზე. ერთ-ერთ თეორიულ კონფერენციაზე, რომელიც
მიეძღვნა თემას — „ვიბრძოლოთ მაღალი აკადემიური წარმატები-
სათვის“, კომკავშირელებმა წაიკითხეს მოხსენებები: „წიგნი ჩვენი
ცხოვრების თანამგზავრია“, „შემთხვევა ჩემი ცხოვრებიდან“, „ჩე-
მი დღის რეჟიმი“, „როგორ ვასრულებ საშინაო დავალებას“, „ჯერ
შრომა, მერე ხტომა“, „ჩემი თავისუფალი საათები“, „სწავლა სიკვ-
დიმდე შენია, მუდამ შენთანა მყოფელი, მას გეცილების ვე-
რავინ, არ არის გასაყოფელი“, „ვიბრძოლოთ „შპარგალკობანას“
წინააღმდეგ“, „თუ მე ვიცი, რომ ცოტა ვიცი, მივაღწევ იმას, რომ
მეტი ვიცოდე“.

ბევრი რამ გაკეთდა მოსწავლეთა ინტერნაციონალური აღზრდი-
სათვის. 77-ე სკოლას მეგობრული ურთიერთობა აქვს დამყარებუ-
ლი მოსკოვის 204-ე, კიევის 47-ე, ტაშკენტის პირველ, ქ. თბილი-
სის 78-ე რუსულ და 79-ე სომხურ საშუალო, ქ. ბუქარესტის პრო-
ფესიულ სკოლებთან. გარდა ამისა მოწყობილია ინტერნაციონალუ-
რი კუთხე, სადაც მოთავსებულია მეგობრობის ამსახველი მასალე-
ბი. ჩამოყალიბებულია ინტერნაციონალური კლუბი, რომელსაც

თავისი გამგეობა ჰყავს, აქვს სამუშაო გეგმა, უშვებს კედლის გაზეთს, აწყობს მხატვრულ საღამოებს და სხვ.

სათანადო პირობებია შექმნილი პოლიტექნიკური სწავლების მაღალ დონეზე დაყენებისათვის. კარგად მოეწყო საზეინკლო, დურგლო სახელოსნოები, ელექტროტექნიკისა და ავტოკაბინეტები, რომლებიც აღჭურვილია საჭირო მოწყობილობით, იარაღ-ხელსაწყოებითა და სამუშაო მასალებით. მთელს ამ სამუშაოებში სკოლას დიდი დახმარება გაუწია შეფწარმოებამ — ზეთის სახდელმა ქარხანამ (დირექტორი ამხ. ს. ფალავანდიშვილი, პარტბიუროს მდივანი ამხ. ბ. სარდნოვი, საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ხ. ვართაპეტოვი).

სკოლას აგრეთვე მოწყობილი აქვს კარგი სასწავლო კაბინეტები და კინოდანადგარი. ეზოში მუშაობს მეტეოროლოგიური სადგური. სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთი კეთილმოწყობილია. ამჟამად სკოლას საშუალება აქვს ყველა საგანში ჩაატაროს პროგრამით გათვალისწინებული ცდები, დაკვირვებები და ლაბორატორიული სამუშაოები.

ნაყოფიერად მუშაობენ საზეინკლო, სადურგლო, ავტომანქანის შემსწავლელი ტექნიკური წრეები.

77-ე სკოლის მთელი პედაგოგიური კოლექტივი სათანადო მუშაობას ეწევა საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელებისათვის. სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მაღალ დონეზე დაყენების შედეგად მიმდინარე სასწავლო წლის მესამე მეოთხედში თითქმის სრულიად ლიკვიდირებულია მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების უმიზეზოდ გაცდენის შემთხვევები. მაღალია მოსწავლეთა აკადემიური წარმატების დონე და უზრუნველყოფილია კონტინგენტის მთლიანად შენარჩუნება.

განსაკუთრებით აღსანიშნავია სკოლის დირექტორ გ. კობახიძის, სასწავლო ნაწილის გამგეების — ნ. მატატაშვილის, თ. ჩხაიძის, მასწავლებლების — ა. ჯობაძის, მ. თანდიაშვილის, ე. ჩხეიძის, კ. გუგუნავას, ე. ციციშვილს, ე. უშვერიძის, მ. ხუნდაძის; პ. ქარჩხაძის, ე. კვაბზირიძის, ი. კაკაბაძის, დ. გონდაურის, ნ. გოჩიტაშვილის, მ. აივაზოვის, კ. გეგენავას, ა. დარჩიას, შ. ლაზარაშვილის, ტ. ჯავახოვის, ნ. კალანდარიშვილის, ს. ქაჯაიას, ქ. ვარსემაშვილის, ე. მოსაშვილის, მ. მირცხულავას, ქ. ჩხარტიშვილის თავდადებული და ნაყოფიერი მუშაობა.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მაღალ დონეზე ყენების, საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონიერად გატარების, სასკოლო შენობისა და ავეჯის სანიმუშოდ მოვლისათვის ქ. თბილისის 77-ე საშუალო სკოლის დირექტორს გ. კობახიძეს, სასწავლო ნაწილის გამგეებს — ნ. მატატაშვილს და ო. ჩხაიძეს, მასწავლებლებს — ა. ჯობაძეს, მ. თანდიაშვილს, ე. ჩხეიძეს, პ. გუგუნავას, ე. ციციშვილს, ე. უშვერიძეს, მ. ხუნდაძეს, პ. ქარჩხაძეს, ე. კვაბზირიძეს, დ. გონდაურს, ნ. გოჩიტაშვილს, მ. აივაზოვს, კ. გეგენავას, ა. დარჩიას, შ. ლაზარაშვილს, ტ. ჯავახოვს, ნ. კალანდარიშვილს, ს. ქაჯაიას, ქ. ვარსემაშვილს, ე. მოსაშვილს, მ. მირცხულავას, ქ. ჩხარტიშვილს გამოეცხადოთ მადლობა.

2. ქ. თბილისის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა მიიღონ ზომები, რათა ქალაქის ყველა სკოლის მუშაკმა დაათვალიეროს და გადაიღოს 77-ე სკოლის დადებითი გამოცდილება.

3. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონების, ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა უზრუნველჰყონ ამ ბრძანების განხილვა ყველა სკოლაში და სათანადო ღონისძიებათა განხორციელება თბილისის 77-ე საშუალო სკოლის მოწინავე გამოცდილების გაზიარებისათვის.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1957 წლის 29 მარტის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მ ი ნ ი ს ტ რ ი **გ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. ბრძანება № 224—ქ. ქუთაისის სკოლებში მოსწავლეთა დისციპლინის მდგომარეობის შესახებ 3
2. ბრძანება № 227—ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ 9
3. მითითებანი 1956—1957 სასწავლო წელს სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში გამოსაშვები გამოცდების ჩატარების შესახებ 17
4. დებულება სკოლა-ინტერნატების შესახებ 21
5. დებულება ბავშვთა ძვალ-სახსრის ტუბერკულოზის სანატორიუმებთან არსებული სკოლებისა 33
6. ბრძანება № 313—საყოველთაო სწავლების განხორციელების მდგომარეობის შესახებ სამტრედიისა და ლაგოდეხის რაიონებში 40
7. ბრძანება № 316—წითელწყაროს რაიონის ზემო-მაჩხაანის საშუალო სკოლაში საყოველთაო სწავლების კანონის გატარების მდგომარეობის შესახებ 46
8. ბრძანება № 320—სკოლებში კლასგარეშე მუშაობის მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ 48
9. ბრძანება № 332—ქ. თბილისის 77-ე საშუალო სკოლის მოწინავე გამოცდილების განზოგადების შესახებ 51

ᲣᲤᲐᲡᲝ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲤᲐ·12/170